# აჭარა

გამოცემის 105-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის პარასკევობით

№22 (25.200) 13 ივნისი, 2025 წ. 50 თეთრი


### გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და მთიან რაიონებში - 25-30, მაღალ მთაში - 20-25 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 22 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 758 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია წვიმა ელჭექით.

# მაია ხაჯიშვილი: საქართველო ყოველთვის იქნება ერასმუსის პროგრამის ძლიერი პარტნიორი

***ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეექვსე საერთაშორისო კვირეული, რომელიც სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ორგანიზებით ხორციელდება, დასრულდა.***

კვირეულის ფარგლებში ბსუ-ს 12 უნივერსიტეტის 20-ზე მეტი წარმომადგენელი ეწვია. იგი მიზნად ისახავს - უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას, ბსუ-ის პოპულარიზაციას, ერთობლივი საერთაშორისო პროგრამებისა და პროექტების დაგეგმვას, პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის გაღრმავებას, მომავალში თანამშრომლობის მიზნით, ახალი ხელშეკრულებების ხელმოწერას.

საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების პარტნიორი ქვეყნების (პოლონეთი, ბულგარეთი, გერმანია, ჩრდილოეთ მაკედონია, ჩეხეთი, სლოვენია, საფრანგეთი, ისრაელი, მალტა, ლიეტუვა, საბერძნეთი) ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პირებთან, სტუდენტებთან, გაეცნენ უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას.

კვირეულის ფარგლებში, გაიმართა ტრენინგი „ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების (ორმაგი დიპლომები)“ შექმნის საკითხებზე.

- საერთაშორისო კვირეულს უკვე მეექვსედ ვატარებთ და სასიამოვნოა, რომ ყოველწლიურად იზრდება მონაწილე ქვეყნების რიცხვი. ეს არის ღონისძიება, რომელიც ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციის განვითარებას ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ასევე, საერთაშორისო ცნობადობის გაზრდას, მეტ შესაძლებლობებს ქმნის აკადემიური წევრებისთვის და სტუდენტებისთვის, რომ მათ საერთაშორისო მობილობაში მეტად მიიღონ მონაწილეობა. წელს სიახლე ის იყო, რომ კვირეულის ფარგლებში ჩატარდა ტრენინგი, რომელიც ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამებს შეეხო. რაც მეტი საერთო პროგრამა გვექნება, მით უფრო გაიზრდება საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობა ჩვენს უნივერსიტეტში. სხვადასხვა უნივერსიტეტთან ერთად განხორციელდება არაერთი პროგრამა და გაიცემა ორმაგი დიპლომები, - გვითხრა ბსუ-ის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსმა მარინე გიორგაძემ.

საერთაშორისო კვირეულის მონაწილეებს მადლობა გადაუხადა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა ტიტე აროშიძემ.

იხ. მე-7 გვ.

# მსოფლიოს საუკეთესო ნიჩბოსნები – ბათუმში

***საქართველომ, კერძოდ, ბათუმმა, პირველად უმასპინძლა „დრაგონ ბუათის“ ევროპის ღია ჩემპიონატს (ფესტივალს). მსგავსი მასშტაბის ღონისძიება ამ სახეობაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიანად ამიერკავკასიაში პირველად გაიმართა***

საერთაშორისო სპორტული ღონისძიება საკმაოდ მასშტაბური იყო, მასში 27 ქვეყნის 400-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. მსგავსი ჩემპიონატების გამართვა ბათუმში მნიშვნელოვანია, რადგან ის ხელს შეუწყობს როგორც სპორტული ტურიზმის განვითარებას, ასევე, ჩვენი ქალაქის ცნობადობის გაზრდას საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩემპიონატის ორგანიზატორი იყო საქართველოს სპორტის სამინისტრო, საქართველოს კანოესა და ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაცია, აჭარის მთავრობა, ბათუმის მერია, აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, ბათუმის სპორტული ცენტრი, სპორტის დეპარტამენტი.

ჩემპიონატის გახსნას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი დაესწრო.

როგორც საქართველოს კანოესა და ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ზაზა ნადირაძემ გვითხრა:

- ჩვენი ფედერაცია მზადაა ხელი შეუწყოს სპორტის ამ სახეობის განვითარებას. ბათუმში ნიჩბოსანთა რაოდენობა ყოველ წელს იზრდება და ჩვენი სპორტსმენები საქართველოს ჩემპიონატებზეც კარგად გამოდიან. ბათუმს ჰქონდა ამ სპორტში საკუთარი ისტორია. სასიხარულოა, რომ იგი თავის ტრადიციებს აგრძელებს. ყველაფერი გაკეთდა, რომ ეს დღეები ორგანიზებულად, ლამაზად ჩატარებულიყო. დიდი მადლობა ბათუმის მერიას, სპორტულ ცენტრს, ყველას, ვინც გვერდით დაგვიდგა. რაც შეეხება ქართველებს, ვინაიდან „დრაგონ ბუათი“ (ეგრეთ წოდებული „დრაკონის ნავი“) ჩვენთვის სპორტის ახალი სახეობაა, შედარებით მოკრძალებულად გამოვედით. თუმცა, საქართველო, როგორც სპორტული ქვეყანა, ყველა სახეობის სპორტის განვითარებას მიესალმება. ამდენად, სასიხარულოა, რომ ჩვენი ძალების პირველი მოსინჯვა არცთუ ისე ცუდი იყო. საერთო ჯამში, მეხუთე ადგილი დავიკავეთ. მასში ბათუმელებიც მონაწილეობდნენ, ოღონდ პატარების გუნდი და მათ მეოთხე ადგილი დაისაკუთრეს, - გვითხრა ზაზა ნადირაძემ.

ეს შეჯიბრება სხვადასხვა ქვეყანაში ყოველწლიურად ტარდება. წელს კი საქართველოს ფედერაციამ საქართველოში ჩაატარა. ამაში დიდია ჩვენი წარმატებული ნიჩბოსნის ზაზა ნადირაძის წვლილი.

- ეს ტურნირი ჩვენს რეგიონში სპორტული ტურიზმის განვითარების მხრივაც იყო მნიშვნელოვანი. დარწმუნებული ვარ, რომ ბათუმი სამომავლოდაც გააგრძელებს მსგავსი ასპარეზობების ორგანიზებას. ჩვენი სურვილია, რომ სპორტის ამ სახეობაში 2027 წელს მსოფლიო ჩემპიონატსაც ვუმასპინძლოთ, - გვითხრა ბათუმის სპორტული ცენტრის დირექტორმა უჩა აბრამიშვილმა.

შეჯიბრება ქალაქის პარკში, ნურიგელის ტბაზე ჩატარდა და გამარჯვებულებიც იქვე დაჯილდოვეს. დაჯილდოებას ქალაქ ბათუმის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი მურვანიძე, აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირმა ნადირაძე დაესწრნენ.

გიორგი მურვანიძე მიესალმა შეკრებილებს, მადლობა გადაუხადა ორგანიზატორებს მსგავსი მასშტაბის ღონისძიების ბათუმში ჩატარებისთვის, გამარჯვებულებს კი წარმატება მიულოცა.

- ვორონეჟიდან ვართ, საერთო ჯამში პირველი, მეორე და სამი მესამე ადგილი დავიკავეთ. აქვე უნდა გითხრათ, რომ ყველაფერი არაჩვეულებრივად იყო ორგანიზებული, პირობები - საუკეთესო... იმდენად მოგვეწონა, რომ თუ ისევ აქ ჩაატარებენ, სიამოვნებით ჩამოვალთ, - გვითხრა ნიჩბოსანმა ანა შირაევამ.

- „დრაგონ ბუათში“ პირველად ვმონაწილეობ, ეს ჩემთვის ახალი გამოცდილება, სპორტის ახალი სახეობაა, თუმცა ნიჩბოსნობაზე ექვსი წელია დავდივარ. შევეცდები, სამომავლოდ უფრო კარგი შედეგი ვაჩვენო, რადგან სპორტის ეს სახეობა ძალიან მომწონს, სანახაობრივად მიმზიდველია, - აღნიშნა 19 წლის ფოთელმა ნიჩბოსანმა ომერ გაბედავამ.

მანანა ძიძიშვილი

ISSN 2720-8702

9 772720 870003


## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# ᲝᲗᲮᲘ ᲗᲕᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲐᲛᲓᲔ – ᲑᲝᲘᲙᲝᲢᲘ ᲗᲣ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ?

***Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲛᲐ �პᲐᲠᲢᲘᲔᲑᲛᲐ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲣᲒᲔᲑᲠᲝᲑᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲪᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲘᲜᲐᲪᲕᲚᲔᲡ. ᲐᲮᲚᲐ ᲣᲙᲕᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲤᲔᲘᲡᲑᲣᲥᲘᲡᲢᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲐᲮᲚᲝ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ ᲘᲠᲒᲕᲚᲘᲗ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ Ო�პᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲛᲔᲓᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲔᲑᲘᲗ ᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲐᲜ. ᲐᲡᲔᲗ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ, ᲪᲮᲐᲓᲘᲐ, ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲘᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲐᲠ ᲐᲥᲕᲗ, ᲕᲘᲜᲐᲘᲓᲐᲜ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲮᲐᲠᲔ***

შეტევის ძირითადი ობიექტი „ლელო - ძლიერი საქართველოა“, რომელსაც „ერთიანობა - ნაციონალური მოძრაობა“ და „კოალიცია ცვლილებისთვის“ წევრები სოციალური ქსელების თუ სხვადასხვა პლატფორმის მეშვეობით ღიად უპირისპირდებიან.

ოპონენტების კრიტიკა მიუღებელია „ლელოს“ ლიდერისთვის.

„სანამ საქართველოში არ იქნება პოლიტიკური კულტურა, რომ სერიოზული, არგუმენტირებული მსჯელობა გაიმართოს და არა იარლიყების მიკერება და ფეისბუქშეურაცხყოფების მიყენება, არაფერი შეიცვლება, იმიტომ ვართ ამ დღეში. რაღაც ჯგუფს უნდა, თავს მოგვახვიოს, შესაძლოა მართალი, შესაძლოა არამართალი პოზიცია, ამიტომ ყველას მოვუწოდებ, შეცდომა არ დაუშვათ, რომელიც ძალიან ბევრჯერ დაუშვა ოპოზიციამ წარსულში“, - განაცხადა მამუკა ხაზარაძემ მედიასთან საუბარში.

„ლელოსთან“ დაპირისპირებული ოპოზიციის ნაწილი კიდევ უფრო გააღიზიანა ამ პარტიის წევრ ნიკა ჩერქეზიშვილის განცხადებამ ერთ-ერთი ტელეარხის ეთერში.

„გარანტია არ არსებობს, რომ არჩევნები არ გაყალბდება, ჩვენი მთავარი მიზანი უნდა იყოს, რომ ეს გაყალბება კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახდეს ხალხისთვის“, - განაცხადა ჩერქეზიშვილმა, რომელსაც არ ჩამორჩა თანაგუნდელი ლევან სამუშია.

„არავინ ამბობს, რომ ესენი გაყალბებას გადაეჩვევიან, მაშინ არასდროს არ უნდა მივიღოთ არჩევნებში მონაწილეობა?“, - იკითხა სამუშიამ და თავის პარტიასთან დაპირისპირებული ოპოზიციის ნაწილი კიდევ უფრო გააბრაზა, რასაც ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და მათი მხარდამჭერების ფეისბუქპოსტებიც მოწმობს.

ამ განცხადებების ფონზე რა გამოდის? ე.ი. „ლელომ“ წინასწარ იცის, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნებს გააყალბებს და მაინც ცდილობს, მიიღოს მასში მონაწილეობა იმის დასამტკიცებლად, რომ „ოცნება“ არჩევნებს აყალბებს? ამ შეკითხვებზე პასუხს მაშინ გავიგებთ, როდესაც „ლელოს“ წევრები ღია საუბარს დაიწყებენ.

პარტია „გირჩი - მეტი თავისუფლების“ წევრებს კი გული სწყდებათ „ლელოს“ ამომრჩევლებზე, რომლებმაც მამუკა ხაზარაძის გამო პოზიცია შეიცვალეს.

- ამ მომენტში ყველაზე საცოდაობა ისაა, თუ როგორ დაალაგა ხაზარაძემ პარტიის „ბაბლი“ და როგორ იმეორებს ეს ხალხი მათი ლიდერის სიტყვას. ეს ადამიანები ადრე ჩემთან ერთად ბათუმში აქციაზე იდგნენ და სრულიად განსხვავებულ რამეს ამბობდნენ, ახლა კი აზრი შეიცვალეს. ისეთი ადამიანები, რომლებსაც საკუთარი აზრი არ გააჩნიათ და ზემოდან ჩაძახილით მოქმედებენ, ჩემთვის მენტალურად „ქოცები“ არიან. თავად ხაზარაძეც ამბობდა, რომ არჩევნებში მონაწილეობა ღალატი იქნებოდა და რომ ეს ივანიშვილის „შემოგდებული“ საქმე იყო. მას, ამასთანავე, ხელი აქვს მოწერილი არჩევნებში არმონაწილეობასთან დაკავშირებით და დღეს მის ყველა სიტყვას ჭოკით გადაახტა, 180 გრადუსით შემოატრიალა თავისი აზრები. მე ხაზარაძეზე დიდი წარმოდგენა ადრეც არ მქონია, მაგრამ ვწუხვარ იმ ხალხზე, რომლებიც მისი ერთი ჩაძახილით აზრს იცვლიან. სამწუხაროდ, არ მჯერა ასეთი ხალხის, ამას მათ პირშიც ვეუბნები და თქვენი გაზეთის მეშვეობითაც ვეტყვი, - გვითხრა პარტია „გირჩი-მეტი თავისუფლების“ აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თემურ გორგაძემ.

ოპოზიციის ლიდერები „ლელოს“ ერთიანი პოზიციის დარღვევას ედავებიან, ხოლო თავად „ლელო“ ოპოზიციის ნაწილის კრიტიკას არაფრად აგდებს და საკუთარ პოზიციაზე რჩება, მოკლედ - „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის“.

„ჩვენ გადაწყვეტილება არ გვაქვს მიღებული და ვერავინ ვერაფერს შეგვაცვლევინებს. სამწუხაროდ, ადამიანებს მსჯელობის, პრობლემა აქვთ, რაც ცუდად აისახება საერთო ვითარებაზე. ასევე, ეს კარგად არ მეტყველებს იმ ადამიანებზე, რომლებიც ამბობენ, რომ მსჯელობა არის ცუდი. ჩვენ არავითარ ნებართვას არ ვითხოვთ, არავის ლოცვაკურთხევა არ გვჭირდება იმისთვის, რომ გავიდეთ ან არ გავიდეთ. ჩვენ, როგორც თანასწორ პარტნიორებს, შევთავაზეთ მსჯელობა. მორალის კითხვის, თითის ქნევის გარეშე ყველა კოლეგამ ინებოს და ცივილიზებულ გარემოში მივიდეს სამსჯელოდ“, - განაცხადა „ლელოს“ წევრმა გრიგოლ გეგელიამ.

აღსანიშნავია ისიც, რომ „კოალიცია ცვლილებისთვის“ „ლელოს“ ლიდერებს სასაუბროდ ეპატიჟება.

„რადგან დისკუსია გახსნილია, დიდი პატივისცემით და პარტნიორული სულისკვეთებით გთავაზობთ, მამუკა ხაზარაძე, დავსხდეთ, ვიმსჯელოთ პირდაპირ ეთერში, რომელშიც გინდათ, როცა გინდათ“, - წერს ელენე ხოშტარია სოციალურ ქსელში.

ხოშტარიას შეთავაზება მიიღო „ლელო - ძლიერი საქართველოს“ ლიდერმა მამუკა ხაზარაძემ, თუმცა აღნიშნა, რომ საუბარი უნდა შედგეს საქართველოს მეხუთე პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის პლატფორმაზე და ოთხივე ბარიერგადალახული კოალიციის მონაწილეობით.

არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის საკითხზე მსჯელობის ეტაპი გავლილი აქვს პარტიას „გახარია საქართველოსთვის“ და ახლა ნაბიჯ-ნაბიჯ შლის კარტს. გახარიას პარტიაში უკვე დაიწყეს საუბარი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის მერობის კანდიდატის შერჩევაზე და ხაზგასმით ამბობენ, რომ აღნიშნული კანდიდატი აუცილებლად ნეიტრალური უნდა იყოს, ასევე, დანარჩენ ოპოზიციას ამ პროცესში ჩართვას სთავაზობენ.

„ჩვენ არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობაზე მსჯელობის ეტაპი უკვე გავლილი გვაქვს. მონაწილეობასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია პირველივე დღიდან ცნობილია. თუ პარტიები შეძლებენ შეთანხმებას არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ჩვენ გაგვიხარდება, ეს იქნება სწორი, პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება. ჩვენ აუცილებლად შევუერთდებით მერობის ნეიტრალური კანდიდატების შესახებ განხილვას. დღეს ჩვენი შემდეგი მიზანი ნეიტრალური კანდიდატების შერჩევაა“, - განაცხადა პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ბექა ლილუაშვილმა.

ოქტომბრის არჩევნებისთვის ემზადება პარტია „გირჩიც“.

„პარტია, რომელიც, ზოგადად, არჩევნებში არ მონაწილეობს, პოლიტიკურ პარტიად ვერ გამოდგება, თუ, რა თქმა უნდა, რევოლუციას არ ამზადებს. ჩვენ რევოლუციისთვის არ ვემზადებით და ბუნებრივია, არჩევნებში მონაწილეობას ვგეგმავთ“, - განაცხადა „გირჩის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ალექსანდრე რაქვიაშვილმა.

მმართველი გუნდი წინასწარ დაწერილ სცენარზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ ოპოზიციური პარტიების გადაწყვეტილებები გარედან მიღებული დავალებების შესაბამისი იქნება.

„ამ გადაწყვეტილების საფუძველი არის ერთადერთი რამ, ერთი სიტყვაა პასუხი - დავალება. რასაც დაავალებენ, იმას გააკეთებენ. გარედან ეტყვიან, რომ მიიღეთ მონაწილეობა, მიიღებენ მონაწილეობას, ეტყვიან, რომ არ მიიღონ მონაწილეობა, არ მიიღებენ მონაწილეობას“, - განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ.

ოპოზიციურ სპექტრში მიმდინარე სიტუაციას აფასებს აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ქართული ოცნებიდან“ ცოტნე ანანიძე.

„იმ მცდელობებმა, ბოიკოტმა, რომელიც არის რევოლუციური სცენარის ნაწილი, რომელიც წარუმატებლად მიმდინარეობს ამ ხნის განმავლობაში, ბუნებრივია, გარკვეული დილემების წინაშე აღმოაჩინა ოპოზიციური სპექტრი. სხვაგვარად თუ შევხედავთ, ეს პროცესი ძალიან კარგია. საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს კიდევ ერთხელ არის დაფიქრების შესაძლებლობა, თუ რა ხდება რეალურად ოპოზიციურ პოლიტიკურ ველზე. ეს ის პროცესია, რისი დამალვაც უკვე შეუძლებელი გახდა. ეს არის რადიკალიზმის პოლიტიკა, რომელიც იმ შედეგებს იძლევა, რაც ახლა ოპოზიციაშია“, - აღნიშნა ცოტნე ანანიძემ გადაცემა „თავისუფალ სივრცეში“ სტუმრობისას.

**ᲗᲐᲛᲐᲠ ᲚᲐᲛᲞᲐᲠᲐᲫᲔ**

## ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი ყაზახეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩ მალიკ მურზალინს შეხვდა. მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, სულხან თამაზაშვილმა ელჩს რეგიონის საინვესტიციო პოტენციალი და ტურისტული გარემო გააცნო. შეხვედრაზე მხარეებმა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივები განიხილეს. მთავრობის თავმჯდომარის განცხადებით, სტრატეგიულ პარტნიორებთან მჭიდრო თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის. აღინიშნა, რომ საქართველოსა და ყაზახეთს შორის თანამშრომლობა დინამიკურად ვითარდება როგორც ცენტრალურ, ისე რეგიონულ დონეზე. ყაზახეთი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო-ეკონომიკური პარტნიორია. თანამშრომლობა მოიცავს კულტურულ, საგანმანათლებლო და ტურიზმის მიმართულებებს. შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, აჭარის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელი გიორგი ცინცაძე და ბათუმის საზღვაო პორტის გენერალური დირექტორი ულან ტლეუგალი ესწრებოდნენ.

* * *

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს უშვილობის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში, ნინო გოლიაძეს და ალექსანდრე გიენკოს ვაჟი - ანდრია შეეძინათ. ახალშობილი მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ მოინახულა და წყვილს შვილის დაბადება მიულოცა. „ვულოცავ გიენკოების ოჯახს შვილის შეძენას. მიხარია, რომ ამ პროგრამის ფარგლებში არაერთი წყვილი გავახარეთ. ამ დროისთვის დაბადებულია 57 ბავშვი, ხოლო 7 წყვილი მოლოდინის რეჟიმშია. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ მხარდაჭერას. პროგრამა 2022 წელს დაინერგა, მისი მიზანია უშვილო ოჯახების რიცხვის შემცირება და დემოგრაფიული მაჩვენებლის გაუმჯობესება“, - აღნიშნა მინისტრმა ნინო ნიჟარაძემ. 2025 წელს პროგრამის „უშვილობის დიაგნოსტიკა და მკურნალობა“ ბიუჯეტი მილიონ 500 000 ლარს შეადგენს. პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ 300 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე სოციალურად დაუცველ და შშმ სტატუსის მქონე პირებს, საჯარო და კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში დასაქმებულ პირებს, რომლებიც არანაკლებ 6 თვის განმავლობაში იმყოფებიან კანონიერ ქორწინებაში და რომელთაც შვილის ყოლის მიზნით ესაჭიროებათ შესაბამისი რეპროდუქციული სამედიცინო დახმარება.

* * *

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე სულხან თამაზაშვილი საქართველოს რეგიონული განვითარების მინისტრ კახაბერ გულედანს შეხვდა. ინფორმაციას აჭარის პრესსამსახური ავრცელებს. მთავრობის თავმჯდომარემ მინისტრს რეგიონში მიმდინარე და დაგეგმილი პროექტები გააცნო. მხარეებმა გამოთქვეს მზადყოფნა, მხარი დაუჭირონ მუნიციპალიტეტებში კიდევ უფრო მეტი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელებას. შეხვედრაზე სულხან თამაზაშვილმა აღნიშნა, რომ აჭარის მთავრობის გრძელვადიანი სტრატეგიაა, რეგიონი ოთხივე სეზონზე იყოს ტურისტული მიზიდულობისა და ეკონომიკური აქტივობის ცენტრი. მნიშვნელოვანია, რომ კეთილდღეობა და შესაძლებლობები, რომელიც იქმნება აჭარაში, თანაბრად გადანაწილდეს სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაზე. შეხვედრას რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე ლევან ზაუტაშვილი, აჭარის მუნიციპალიტეტების მერები, საკრებულოს თავმჯდომარეები და მთავრობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, რეგიონში სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება წარმატებით ხორციელდება. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“, ქვეპროგრამის „აგრომომსახურების განვითარება რეგიონში“ ფარგლებში, აჭარის ადმინისტრაციულ საზღვრებში მცხოვრები მოსახლეობის საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული სახნავ-სათესი ნაკვეთების უსასყიდლოდ დამუშავება დასკვნით ფაზაშია. „ქობულეთის მუნიციპალიტეტში სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების განხორციელების პროცესს, რომელიც რამდენიმე დღეში დასრულდება, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე ადგილზე გაეცნო. აჭარის ტერიტორიაზე მცხოვრებ ფერმერებს სახნავ-სათესი ფართობები დაუმუშავდა უფასოდ. დღეის მდგომარეობით, უკვე დამუშავებულია 2250 ჰა მიწის ფართობი, რაც ადგილობრივ ფერმერებს მისცემს შესაძლებლობას, გაზარდონ ერთწლიან კულტურებში რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. საველე სამუშაოებს ასევე ესწრებოდნენ მინისტრის მოადგილეები არჩილ ბერიძე, ნადიმ ვარშანიძე, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მინდია რომანაძე და „აგროსერვისცენტრის“ ხელმძღვანელები.“, - ნათქვამია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

* * *

აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროს ელენე ღუბიანურთან და მინისტრის მოადგილე მირიან ქათამაძესთან ერთად, შავი ზღვის წყლის ხარისხის სინჯის აღების პროცესს დაესწრო. როგორც აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრმა აღნიშნა, წყლის ხარისხის კვლევები უწყვეტ რეჟიმში ტარდება. ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა აქვს, ზღვის წყლის ხარისხის შესახებ ინფორმაციას გაეცნოს. გარემოს ეროვნული სააგენტო შავი ზღვის წყლის ხარისხის მონიტორინგს უწყვეტ რეჟიმში ყოველთვიურად, 12 წერტილში ახორციელებს. კვლევებისას ისაზღვრება ჰიდრობიოლოგიური და ქიმიური პარამეტრები, მათ შორის, 13 მძიმე მეტალი, ნავთობის ჯამური ნახშირწყალბადები, 16 პოლიარომატული ნახშირწყალბადისა და სხვა ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრის კონცენტრაცია. ასევე, აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ზღვის წყლის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე კვლევებს მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, ყოველ 10 დღეში ერთხელ ახორციელებს სარფი-ჩოლოქის მონაკვეთზე 7 წერტილში (ბათუმის ცენტრალური პლაჟი, აკვაპარკის მიმდებარე ტერიტორია, კვარიათი, სარფი, ქობულეთის ცენტრალური პლაჟი, ბობოყვათის მიმდებარე ტერიტორია და მწვანე კონცხი). ჩატარებული ლაბორატორიული კვლევების მიხედვით, ზღვის წყლის ხარისხი მთელი პერიმეტრის შვიდივე წერტილში დასაშვები ნორმის ფარგლებშია.

# რამაზ საყვარელიძე: ბევრი ამბობს, საქართველომ ყველაზე მეტი ჭკუა გამოიჩინაო

***მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა დონალდ ტრამპისა და ილონ მასკის დაპირისპირება. აშშ-ის ეფექტიანობის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი გეგმავს ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას, რომელიც შუაში მყოფ ამომრჩეველთა 80 პროცენტს გააერთიანებს, თუმცა აშშ-ის ექსცენტრიკულ პრეზიდენტს არ აღელვებს ეს იდეა, რადგან დარწმუნებულია მის აბსურდულობაში და მასკს უპატივცემულობაში ადანაშაულებს***

*თავის მხრივ, ილონ მასკი დონალდ ტრამპის იმპიჩმენტს ითხოვს და მას საჯარო პოსტებით უპირისპირდება, რამდენჯერმე გააკრიტიკა კიდეც ამერიკის პრეზიდენტი, განსაკუთრებით ეკონომიკური პოლიტიკის გამო. მათ შორის უთანხმოება მას შემდეგ დაიწყო, რაც დონალდ ტრამპმა საბიუჯეტო კანონპროექტს მხარი დაუჭირა. კანონპროექტი ითვალისწინებს დონალდ ტრამპის პირველი პრეზიდენტობის დროს, 2017 წელს მიღებული საგადასახადო შეღავათების გაგრძელებას თავდაცვის სფეროში, უსაბუთო მიგრანტების მასობრივი დეპორტაციის დამატებით დაფინანსებას და სახელმწიფო ვალის ლიმიტის ოთხ ტრილიონ დოლარამდე გაზრდას. მასკმა აღნიშნულ კანონპროექტს „საზიზღარი სისაძაგლე“ უწოდა და თქვა, რომ ის ქვეყანას „დამანგრეველი ვალებით“ დატვირთავს.*



*გთავაზობთ ინტერვიუს პოლიტოლოგ* ***რამაზ საყვარელიძესთან.***

**- ბატონო რამაზ, ჯერ კიდევ ტრამპის გაპრეზიდენტებამდე, დადებითად შეაფასეთ მისი გადაწყვეტილება ილონ მასკთან თანამშრომლობის თაობაზე. თვლიდით, რომ ამ ნაბიჯით მან პოზიციები გაიმყარა. ახლა რა აზრზე ხართ?**

- ეტყობა, ისევე, როგორც ერთ ქარქაშში - ორი ხანჯალი, გრანდიოზული ფიგურები ერთმანეთის გვერდით ვერ თავსდებიან. გარდა იმისა, რომ ძლიერები არიან, ორივე თავნება ტიპია, რის გამოც შეგუება გაუჭირდათ... რომელს - რომელთან, რთული სათქმელია, მაგრამ მაინც მგონია, რომ ტრამპის გადაწყვეტილება მასკის მოურიდებელმა საქციელმა მოამწიფა, რადგან რამდენჯერმე მოუწია მის ნაცვლად ბოდიშების მოხდა სხვადასხვა საკითხზე... ალბათ შემდგომ კიდევ უფრო მეტი სირთულის წინაშე დააყენა პრეზიდენტი მასკის რადიკალიზმმა.

**- ილონ მასკსა და დონალდ ტრამპს შორის საჯარო სივრცეში 5 ივნისს დაწყებული სიტყვიერი დაპირისპირება მასკმა გააგრძელა სოციალურ ქსელ X-ში თავის ოფიციალურ გვერდზე მორიგი პოსტის გამოქვეყნებით, რომ „მართლაც დიდი ბომბის ჩამოგდების დროა“ და რაიმე მტკიცებულების გარეშე დაწერა, რომ დონალდ ტრამპი „ეპშტეინის ფაილებშია“, რომლებიც სწორედ ამ მიზეზით არ გამოქვეყნებულა. რას უქადის ეს აშშ-ის პრეზიდენტს?**

- დიახ, ამან შეიძლება „საშუალო ამერიკელის“ აღშფოთება გამოიწვიოს. ამერიკელი ფინანსისტი ჯეფრი ეპშტეინი გასამართლებული იყო პროსტიტუციაში არასრულწლოვანთა ჩართვის, მათზე სექსუალური ძალადობისა და ტრეფიკინგის ბრალდებებით. 2019 წელს ის ციხის საკანში მკვდარი იპოვეს. ექსპერტიზის დასკვნით, პატიმარმა თავი მოიკლა, თუმცა საუბარი იყო მკვლელობაზეც. მოგეხსენებათ, მასკმა გააზიარა ძველი ვიდეოც, რომლის მიხედვით 1992 წელს ტრამპი ეპშტეინის წვეულებაზე გოგონებთან ერთად იმყოფება.

**- რამდენად შესაძლებელია ტრამპის იმპიჩმენტი და, ამ შემთხვევაში, დემოკრატები ისევ ხომ არ ჩაიგდებენ ხელში ძალაუფლებას?**

- თავად მასკმა აღნიშნა: „ტრამპის გადაყენება დემოკრატების მოსვლას არ ნიშნავს, მის ადგილს ავტომატურად დაიკავებს ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი, რომელსაც პირადად მე მხარს ვუჭერ“. თავის მხრივ, ვენსს მოუწია ამ ფრაზის თავიდან აცილება: მასკის მხრიდან აშშ-ის პრეზიდენტზე თავდასხმა „დიდი შეცდომა“ იყო, მე კი ყოველთვის ტრამპის ერთგული დავრჩებიო. ამერიკის კანონმდებლობით, ტრამპს ვენსი ჩაანაცვლებს, რომელსაც ტყუილად არ უჭერს მხარს მასკი, რადგან ვიცე-პრეზიდენტი ტრამპზე მეტი რადიკალიზმით გამოირჩევა, თუმცა უფრო თანმიმდევრულია.

**- თქვენი პროგნოზით, მოხდება ეს ჩანაცვლება?**

- ტრამპის ფეთქებადი და არაპროგნოზირებადი ხასიათი იძლევა ამ ჩანაცვლების საფუძველს. ისე დაძაბა ამერიკის შეერთებული შტატები, რომ არ არის გამორიცხული, აიმხედროს მთელი ქვეყანა და მართლა დააყენონ იმპიჩმენტის საკითხი. მაშინ რეალურად დადგება დღის წესრიგში ვენსის კანდიდატურა, ოღონდ, ვიმეორებ, რომ ეს არ იქნება „დემოკრატებისთვის“ მაინც და მაინც სასიამოვნო ფაქტი.

**- იქნებ მასკი დემოკრატებმა გადაიბირეს?**

- არა, მასკი არ არის დემოკრატების მომხრე (მათ გაუუქმა უზარმაზარი ფონდები, მათ შორის USAID), პირიქით, ტრამპზე უფრო კონსერვატორია. იქნებ ეს დაპირისპირება სწორედ ამის გამო მოხდა, მასკმა ბრალი დასდო პრეზიდენტს, რომ არც ერთი ამ მიმართულებით დაწყებული პროცესი ბოლომდე არ მიიყვანა... პრინციპში, არის საუბრები მასკის დემოკრატობაზე, მაგრამ იმ ნაბიჯების შემდეგ, რაც მან გადადგა, მეეჭვება, ეს სიმართლეს შეესაბამებოდეს.

**- ტრამპის გადაყენება რამდენად აძლევს ხელს „ქართული ოცნების“, რომელმაც ბოლოს და ბოლოს მოიპოვა აშშ-ის ახალი პრეზიდენტის კეთილგანწყობა?**

- ეს საკითხი ასე სახელდახელოდ არ დადგება, მხოლოდ მასკის მოწოდებებს არავინ მიიღებს იმპიჩმენტისთვის საკმარის მიზეზად. აშშ-ის პრეზიდენტის იმპიჩმენტი იოლად არ მოხდება, ძალიან ბევრი პროცედურაა გასავლელი. მასკი ტრამპს რასაც საყვედურობს, ეს პოლიტიკურია. იმ გოგონების თემაც აღარ არის აქტუალური, რადგან დანაშაული უნდა ჰქონდეს ჩადენილი პრეზიდენტობის დროს. ახალგაზრდობაში ამერიკაში ყველას რაღაც ისტორია აქვს, მსგავს სიტუაციებს ნაკლებ ყურადღებას უთმობენ დიდ პოლიტიკაში.

**- ილონ მასკმა აშშ-ის მთავრობის ეფექტიანობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიცია გასულ კვირას დატოვა. ტრამპს თუ გადააყენებენ, მასკი დაბრუნდება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, თუ მასაც რაღაც ისტორიებს ამოუქექავენ?**

- ალბათ დაბრუნდება... მასკიც ბევრს ცელქობს, მაგრამ მთავარი ის კი არ არის, ვინ ცელქობს და ვინ - არა. გადამწყვეტია, ვისი ცელქობის დადასტურებაა შესაძლებელი და ვისი - არა.

**- აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ჩინეთის ლიდერი სი ძინპინი დათანხმდა აშშ-ისთვის იშვიათი მინერალების მიწოდების განახლებას, ანუ მორიგდნენ?**

- ძალიან კარგია თუ შეთანხმდებიან, მით უმეტეს - ჩვენთვის. მისასალმებელია, თუკი ჩადგება ამერიკა-ჩინეთის ურთიერთობა იმ დღის წესრიგში, როგორიც სხვა ქვეყნებთან აქვთ. კონკურენციამ არ უნდა გადაფაროს ეთიკური, პოლიტიკური, მორალური თუ სხვა მიზანშეწონილობა, რაც ხშირად ხდება დაპირისპირების დროს, ყველაფერი ავიწყდებათ, ოღონდ აჯობონ მოწინააღმდეგეს.

**- უკრაინა-რუსეთის მორიგების პროცესი ისევ შეჩერებულია უკრაინელების მიერ რუსეთის სამხედრო აეროდრომების დრონებით დაბომბვის შემდეგ...**

- ამ სიტუაციაზე დაუჯერებელი ვერსიებიც კი გაჩნდა ჩვენს ფეისბუქში, თითქოს ზელენსკი და პუტინი ამაზე შეთანხმდნენ, რათა ომი გაგრძელებულიყო. ამ მოტივს საფუძვლად დაედო ის ფაქტი, რომ დამომბვის შედეგად ადამიანური მსხვერპლი მინიმალური იყო. ფაქტია, რომ მათ შორის ომი ახალ ეტაპზე გადავიდა. ისიც არის მხედველობაში მისაღები, რომ ტრამპმა არ გააკრიტიკა ეს თავდასხმა, პირიქით, აღნიშნა, ასე იოლი არ ყოფილა ამ ომის შეჩერებაო. თითქოს შეუერიგდა არსებულ სიტუაციას და თავი დაანება ომახიან შეძახილებს სისხლისღვრის სასწრაფოდ შეჩერების თაობაზე. ისიც კი თქვა, ცოტა დრო უნდა მივცეთო და ეს დრო რომ ცეცხლის ალში ახვევს ორივე ქვეყანას, აღარ უხსენებია.

**- სასიხარულო იყო გაეროს მიერ მიღებული რეზოლუცია ჩვენი დევნილების საკუთარ სახლებში უსაფრთხოდ დაბრუნების შესახებ. როგორ ფიქრობთ, დაგვადგება საშველი?**

- მე ვერ ვარ ასეთი ოპტიმისტი, რადგან ეს მათ მიერ მიღებული პირველი უშედეგო რეზოლუცია არ არის. გაერო არაერთხელ მიუთითებდა დევნილების დაბრუნების აუცილებლობაზე, მაგრამ აფხაზეთსა და ოსეთს ამაზე არავითარი რეაქცია არ ჰქონიათ.

**- გაითვალისწინებს თუ არა ბოიკოტში მყოფი ოპოზიცია ევროპარლამენტის მოწოდებას ადგილობრივ არჩევნებში ჩართვაზე? რატომ შეიცვალა ევროპამ პოზიცია?**

- იმიტომ, რომ ევროპარლამენტს საკუთარი ზრახვების განხორციელებაში ხელს არ შეუშლის ოპოზიციის ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებში შესვლა. თუ რამდენიმე ოპოზიციონერი აღმასრულებელი სტრუქტურების ხელმძღვანელი გახდება, უფრო ეფექტური იქნება, დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდონ ხალხს და სათავეში ჩაუდგნენ „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგო აქციებს. პროტესტი, რომელშიც ჩაერთვებიან თანამდებობის პირები, გაცილებით მეტ დატვირთვას შეიძენს საერთაშორისო ასპარეზზე, ვიდრე დღევანდელი აქციები, სადაც ოფიციალური სტატუსის არმქონე ადამიანები აცხადებენ პოლიტიკურ პროტესტს.

**- თვლით, რომ კიდევ უფრო დაიძაბება სიტუაცია და გამძაფრდება დაპირისპირება?**

- ჰო, მე არ გამოვრიცხავ ამ სცენარს, სხვაგვარად ვერ ვხსნი ევროპარლამენტის მოწოდებას არჩევნებში ჩართვაზე. ვფიქრობ, ახლა უკვე ცდილობენ, დაპირისპირებას ახალი დატვირთვა მისცენ მასში ოფიციალური სტატუსის მქონე პირების ჩართვით.

**- მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის გაუქმებასთან დაკავშირებით, რაზეც აღშფოთება გამოხატა ნატოს წარმომადგენელმა.**

- როგორც გავიგე, საგარეო საქმეთა სამინისტროს შეურთდება, უწყებაში კი არაფერი დაუხურავთ. თქვენ მიერ ხსენებულ ცენტრს ჰქონდა ენჯეოს ტიპის დამოუკიდებლობის სტატუსი და არ ამართლებდა იმ დატვირთვას, რისთვისაც შეიქმნა. აქედან გამომდინარე, გასაგებია მთავრობის გადაწყვეტილება, რადგან გაჩნდა რისკი, რომ ეს სტრუქტურა ცოტა განსხვავებული მიმართულებით მუშაობდა, ვიდრე მის აბრევიატურაში იყო მითითებული.

**- ევროპა ისევ აძლიერებს საკუთარ სამხედრო პოტენციალს, რადგან აშკარად დაინახა რუსეთიდან მომდინარე საფრთხე. როგორ ფიქრობთ, ჩაერთვებიან თუ არა ევროპის ქვეყნები რუსეთ-უკრაინის ომში?**

- ამ კონფლიქტში ევროპა, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის იყო ჩართული შეიარაღების და დაფინანსების კუთხით, რაზეც რუსეთი იმუქრებოდა და ავრცელებდა გამაფრთხილებელ ტექსტებს. ახალი ინფორმაციით, ევროპამ დრონებიც მისცა უკრაინას, რადგან ის უფრო ეფექტური გამოდგა რუსეთისთვის ზიანის მისაყენებლად. მოგეხსენებათ, ასეთი დახმარება იაფი არ ჯდება და ევროპას მოუწევს საკუთარი ბიუჯეტის სამოქალაქო ნაწილის შემცირება უკრაინის შეიარაღების და დაფინანსების ხარჯზე. ადრე აშშ-ს ჰქონდა ეს ტვირთი აღებული, ახლა კი, ტრამპის გამოსვლების შემდეგ, ევროპა იძულებული გახდა, საკუთარ თავზე აეღო უკრაინის ომის მთელი სიმძიმე. აქვე არ დაგავიწყდეთ, რომ ევროპის ქვეყნების ბიუჯეტებში სამოქალაქო ნაწილის შემცირება ადგილობრივ მოქალაქეთა უკმაყოფილებას გამოიწვევს, რაც უკვე ჩანს, ანუ ევროპაში ცვლილებები ჯერ არ მომხდარა, მაგრამ ამა თუ იმ ქვეყანაში მკვეთრად გაისმა უკრაინისთვის დახმარებაზე უკმაყოფილება. აგერ ახლა პოლონეთში გაიმარჯვა კაროლ ნავროცკიმ, რომელმაც ვარშავის მერ რაფალ ტშასკოვსკის მოუგო. ნავროცკი უკრაინის სასტიკი წინააღმდეგია და არ თვლის თავს ვალდებულად, მას რაიმენაირად მაინც დაეხმაროს.

**- თუ ასეთი დამოკიდებულება იყო ევროპაში, რატომ წააქეზეს უკრაინა ომისკენ?**

- ადრე არ იყო მსგავსი დამოკიდებულება, პირიქით, ეგონათ, რომ იოლად დაამარცხებდნენ „დასუსტებულ“ რუსეთს, მაგრამ როგორც ვხედავთ, ისტორია მეორდება და ევროპა კვლავ შერჩა პირისპირ კიდევ უფრო გაძლიერებულ რუსეთს.

**- და რა მოხდება შემდეგ?**

- ალბათ, პოლონეთის მაგალითი გავრცელდება. ვფიქრობ, ევროპის ქვეყნების დღევანდელ ხელისუფლებებსაც ელოდება პოლიტიკური დამარცხების საფრთხე არჩევნებში. თავად განსაჯეთ, ზოგადად, ევროპული უსაფრთხოების იდეა, რაზეც ახლა აპელირებენ ევროპელი ლიდერები, შორეული, წარმოსახვითი პერსპექტივაა, სამხედრო ხარჯების გაზრდა კი დღესვე დაარტყამს საშუალო ევროპელის ოჯახს. არ არის გამორიცხული, ევროპელების უმეტესობა არ აჰყვეს ამ საფრთხეზე ლაპარაკს (გააჩნია, რუსეთი როგორ მოიქცევა). გერმანელმა თუ იტალიელმა უშუალოდ კრემლიდან თუ არ იგრძნეს რეალური საფრთხე, საკუთარი ლიდერების მოწოდებებს არაკისეულ „მგელი, მგელის“ ძახილს შეადარებენ... მათთვის უფრო კომფორტული იქნება, რუსეთისგან მიიღონ, რისი მიღებაც სურთ - ნავთობი, ბენზინი, ხორბალი და სხვა, სანაცვლოდ კი შეცვალონ ხელისუფლება, ანუ ის მთავრობა გაიყვანონ სათავეში, რომელიც ამ ომს განერიდება და საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობას უკანა პლანზე არ გადასწევს სხვა ქვეყნის დახმარების გამო.

**- ქართველებიც ხომ ასევე მოიქცნენ - აირჩიეს ის მთავრობა, რომელიც არ აპირებდა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში ჩართვას.**

- კი, ბატონო, ქართველები ასე მოვიქეცით, რის გამოც ბევრი ამბობს, საქართველომ ყველაზე მეტი ჭკუა გამოიჩინაო... ამავე პოზიციაზე არიან უნგრეთი და სლოვაკეთიც. მათთვისაც მიუღებელია ომში ჩართვა. ფაქტია, ევროპის მოსახლეობაც მალე ანალოგიურად მოიქცევა, რადგან ცხოვრობს დღევანდელი დღის წესრიგით, ხოლო რუსეთთან ომი იმდენად შორეულ პერსპექტივად ესახება, რომ არც კი უნდა ამისთვის თავის შეწუხება და საკუთარი კომფორტის დათმობა.

> *„ვფიქრობ, ევროპის ქვეყნების დღევანდელ ხელისუფლებებსაც ელოდება პოლიტიკური დამარცხების საფრთხე არჩევნებში. თავად განსაჯეთ, ზოგადად, ევროპული უსაფრთხოების იდეა, რაზეც ახლა აპელირებენ ევროპელი ლიდერები, შორეული, წარმოსახვითი პერსპექტივაა, სამხედრო ხარჯების გაზრდა კი დღესვე დაარტყამს საშუალო ევროპელის ოჯახს“*

**ირმა ცეცხლაძე**

# „საერთაშორისო სამართლის არსებობა არ არის დამოკიდებული ერთი სახელმწიფოს მოქმედებაზე“

***ექსპერტთა თქმით, უმთავრესი განსხვავება დასავლეთსა და რუსეთს შორის ისაა, რომ დასავლეთში დემოკრატიულ სტანდარტებს იცავენ, ხოლო რუსეთში რაც არის, ვიცით: ერების ასიმილაცია, ეთნოწმენდა, ოკუპაცია, აგრესია, რასაც ოფიციალური მოსკოვი პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ ახორციელებს და უკრაინა ამის თვალსაჩინო მაგალითია. უდავოა, რომ რუსეთ-უკრაინის ომს მნიშვნელოვანი გავლენა ექნება ევრაზიის კონტინენტზე. ამ ომის დასრულების შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით და ამ მიმართებით მსოფლიოს მართლწესრიგის ფორმირების კონტურებიც გამოიკვეთება***

*რა იყო რუსეთის მაქსიმუმი და მინიმუმი? რამდენად ეფექტიანია დაწესებული სანქციები? როგორ მოქმედებს რუსეთ-უკრაინის ომი ახალ მსოფლიო წესრიგზე? - ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე გვესაუბრება ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი* ***ლევან ჯაყელი.***

**- აშკარაა, რომ რუსეთი უკრაინისგან კაპიტულაციას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ომის დასრულებას არ აპირებს. ეს რისი მანიშნებელია?**

- რა თქმა უნდა, რუსეთს ეს თავიდანვე ჰქონდა განსაზღვრული, მაგრამ უკრაინელთა წინააღმდეგობამ და მსოფლიოს ქვეყნების, განსაკუთრებით - წამყვანი სახელმწიფოების რეაქციამ მას უკან დაახევინა, გადააწყობინა გეგმები, რომლებიც დღეს სხვაგვარად ჩანს. ეს გეგმები ხმიანდება არა მხოლოდ ტერიტორიული და პოლიტიკური გავლენის მოთხოვნით, არამედ რუსეთის მხრიდან უკრაინის კაპიტულაციის მოთხოვნით. რაც შეეხება პოლიტიკურ მოთხოვნებს: კრემლი ითხოვს ისეთ გარანტიებს, როგორებიცაა საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის ნატოში არმიღება, ნატოს არგაფართოება აღმოსავლეთით. ეს არის ძირითადი გახმოვანებული მიზნები. რუსეთს არ აქვს დაგეგმილი უახლოეს მომავალში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულება. აშკარაა, რომ რაღაცის მოლოდინშია, ისწრაფვის, გადატეხოს უკრაინის წინააღმდეგობა და მოლაპარაკებებისა და მოთხოვნების მხრივ იყოს უპირატეს მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ყველა შეიარაღებული კონფლიქტის ძირითადი მიზანი მოწინააღმდეგის კაპიტულაციაა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სავსებით რეალურია, რუსეთი დასჯერდეს იმ მოთხოვნების შესრულებას, რაც ზემოთ აღვნიშნე.

**- რა არის რუსეთის მაქსიმუმი და მინიმუმი უკრაინასთან მიმართებით?**

- ფაქტი ერთია: რუსეთი გამოვიდა იმ პასიური მდგომარეობიდან, რომელშიც იმყოფებოდა 90-იან წლებში, როდესაც ჩართული იყო შიდაპოლიტიკურ და შეიარაღებულ კონფლიქტებში. მან ახლა უკვე მოიცალა საერთაშორისო პოლიტიკისთვის. ბევრი ამბობს, რომ კრემლი ამ ომს აწარმოებს, რათა გადაფაროს შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები. ეს ომი ემსახურება იმას, რომ რუსეთი გახდეს მხარე, რომელიც ყველა მსოფლიო პროცესში იქნება ჩართული და უიმისოდ დღის წესრიგში მდგომი არცერთი საკითხი არ გადაწყდეს. როგორც ჩანს, ამ შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებით რუსეთმა უკვე მოახერხა (მიუხედავად იმისა, რომ ჩაიდინა საერთაშორისო დანაშაული) ყურადღების მიპყრობა, თავისი ინტერესების წინ წამოწევა, რათა მოელაპარაკონ და დაასრულონ ეს ომი მისი პირობებით. რახან მიზანს (საერთაშორისო მოლაპარაკებებში ჩართვა) მიაღწია, ამიტომ რუსეთის მაქსიმუმი არის პოლიტიკური ამბიციები, ანუ მისი უსაფრთხოების გარანტიები იმ კუთხით, რომ ნატო არ გაფართოვდეს. აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთი არ არის დაინტერესებული ნატოსა და სხვა ევროპულ ქვეყნებთან დალაგებული ურთიერთობით, მისთვის გამალებული შეიარაღება და პერმანენტული დაძაბულობა უფრო მისაღებია, უფრო კომფორტულია, ვინაიდან სურს, მუდმივად ჰყავდეს ტონუსში ევროპული ქვეყნები, აშშ, რომ მასთან ყოველწუთიერ, უწყვეტ კონტაქტზე იყვნენ და კომპრომისის გზით იღებდეს, რასაც ითხოვს. ამიტომ მაქსიმუმი არის საბჭოთა კავშირის ფარგლების და გავლენების აღდგენა. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ რუსეთმა ვერ მიაღწია ვერცერთ სტრატეგიულ მიზანს უკრაინაში. რა იყო სტრატეგიული მიზანი? უკრაინის ხელისუფლების ცვლილება, უკრაინის არმიის განადგურება. რუსეთმა უკრაინელი ერის გატეხვა ვერ შეძლო, ასევე, ვერ შეძლო კიევის, ოდესის, ხარკოვის და ზაპოროჟიეს აღება, რაც, როგორც აღვნიშნე, უკრაინელთა თავგანწირვის და დასავლეთის მხარდაჭერის შედეგია.

**- რუსეთი დაუნდობელ დარტყმებს აყენებს უკრაინის დასახლებულ პუნქტებს. ამ მხრივ პუტინის მიმართ ჰააგის სასამართლოს ვერდიქტიც გვახსოვს, მაგრამ საერთაშორისო სამართალი არ მოქმედებს. რატომ?**

- საქმე ისაა, რომ რუსეთი ჩარჩენილია საბჭოურ აზროვნებაში, საბჭოურ იდეოლოგიაში და ამ მდგომარეობიდან ვერ გამოდის. მისი ბრძოლის სტილი, მეთოდები არის საბჭოური და არ ითვალისწინებს ცივილიზებული მსოფლიოს მიღწევებს, როგორებიცაა ჰუმანიზაცია, შეიარაღებულ კონფლიქტებზე მაქსიმალურად უარის თქმა. რუსეთი განაგრძობს საგარეო პოლიტიკის ხელყოფას, თავისი უსაფრთხოების უზრუნველყოფას შეიარაღებული ძალებით, ის არ ენდობა შეთანხმებებს, მოლაპარაკებებს, ვინაიდან თვითონ არ ცდილობს, დაიცვას საერთაშორისო ხელშეკრულებები, უგულებელყოფს საერთაშორისო მართლწესრიგს. რუსეთს ჰგონია, რომ ევროპული ქვეყნები, ევროკავშირი, აშშ, ნატო ასევე დაიგნორირებენ საერთაშორისო და მიღწეულ შეთანხმებებს. აი, ეს ფაქტორია, რაც გავლენას ახდენს რუსეთის მოქმედებაზე და იმ მეთოდებზე, რომლებსაც ის იყენებს შეიარაღებული კონფლიქტის დროს, უმტკიცებს მსოფლიოს, რომ ამ თემებისადმი ზედაპირული დამოკიდებულება მომაკვდინებელია და ის ნებისმიერი გზით მოახდენს ამაზე რეაგირებას. ასეც მოქმედებს, არ ერიდება მშვიდობიან მოსახლეობას. მოკლედ, რუსეთის მიზანია, გაუწიონ ანგარიში ყველა სახის მოლაპარაკებებში, რაც საერთაშორისო სამართალთან შეუსაბამობაში არ არის. რუსი მეცნიერები ცდილობენ, რომ მოთხოვნები მიუსადაგონ საერთაშორისო სამართლებრივ მოთხოვნებს და ყველაფერი წარმოაჩინონ თავდაცვითი მოტივით. არადა, თავდასხმის შემთხვევაში გაეროს წესდება ითვალისწინებს თავდაცვის მიზნით შეიარაღებული ძალების გამოყენებას, მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთი ცდილობს, მსოფლიომ არ შეაფასოს მისი მოქმედება.

**- გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, რუსეთის მიმართ უმკაცრესი სანქციები დაწესდეს.**

- პირველ რიგში, ჩემს უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ის გარემოება, რომ აშშ ორიენტირებულია თავის ინდივიდუალურ სანქციებზე და ამ გზით ცდილობს, ზეგავლენა მოახდინოს რუსეთის თუ სხვა საერთაშორისო მოთხოვნებზე, რომელთა მიმართაც აქვს ინტერესი. თავიდათავი ის არის, რომ უფრო ნაკლებად მიმართავენ საერთაშორისო სანქციებს, რადგან მათში ისეთი მექანიზმია ჩადებული და ისეთი წესებია გათვალისწინებული, რომ შეუძლებელი ხდება ამ სანქციების მიღება და განხორციელება. ეფექტურია და პოპულარული ხდება მექანიზმი, როდესაც თითოეული სახელმწიფო თავად წყვეტს, რა ტიპის სანქციებს მიიღებს და რა კონტრზომებს განახორციელებს. ეს გაცილებით მარტივია, ვიდრე საერთაშორისო ორგანიზაციებში კოლეგიალობა, შესაბამისად, როგორც აშშ-ის ინდივიდუალური, ასევე ევროკავშირის ზომები ეფექტურია, თუმცა, სამწუხაროდ, არასაკმარისი. მან ვერ გამოიწვია ის ეფექტი, რუსეთი დათანხმებულიყო ომის შეწყვეტას. რუსეთი გააგრძელებს და გაამწვავებს შეიარაღებულ კონფლიქტს. ცხადია, სანქციების სერია გაგრძელდება და ის უფრო ხისტი გახდება. იგულისხმება ბლოკადა, ემბარგო და სხვა. ამ მხრივ სანქციები, ნაწილობრივ, ამოქმედებულია. ვფიქრობ, აბსოლუტური შეზღუდვების პირობებში, რუსეთი იძულებული გახდება, დაიხიოს უკან და მიუჯდეს მოლაპარაკებების მაგიდას, მაგრამ სხვა საკითხია, აძლევს თუ არა ხელს მსოფლიოს ამგვარი რუსეთის შენარჩუნება, სიტუაციის დაპაუზება და შემდეგ ახალ გამოწვევაზე რეაგირება. რა იქნება მომავალში, არავინ იცის, რუსეთისადმი ნდობა ნულზეა დაყვანილი.

**- როგორ მოქმედებს რუსეთ-უკრაინის ომი ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირებაზე?**

- პასუხი ერთმნიშვნელოვნია - პირდაპირ და გადამწყვეტად, იმიტომ, რომ რუსეთის ამგვარმა მოქმედებამ ყველა საერთაშორისო ნორმა შეაჩერა, წაართვა მას სიცოცხლე და ამ პირობებში შეუძლებელი ხდება ახალ მსოფლიო წესრიგზე საუბარი. კონფლიქტი უნდა დასრულდეს, მსოფლიო უნდა გაერთიანდეს, როგორც ეს მოხდა გაეროს შემთხვევაში და ისაუბრონ ან გაეროს გარდაქმნაზე, ან ახალი ორგანიზაციის ფორმირებაზე, ახალი მსოფლიო წესრიგის დაფუძნებაზე, რომელსაც შემდეგ ყველა დაიცავს, დარღვევის შემთხვევაში კი ძვირად დაუჯდება დამრღვევს. ამგვარად, მსოფლიო წესრიგზე მუშაობა უკვე დაწყებულია, რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში დღითი დღე იმსხვრევა ის კოშკი, რომელიც გაერომ ააგო. შესაბამისად, შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ ჩვენ ვიხილავთ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნის მექანიზმს.

**- თუ რუსეთს შერჩა ოკუპირებული ტერიტორიები, ეს ნიშნავს თუ არა, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები დიდი ხნის განმავლობაში აღარ იარსებებს?**

- ეს არ არის სწორი დამოკიდებულება, რადგან საერთაშორისო სამართალში არსებობს ტერიტორიული მთლიანობის ხელშეუხებლობის პრინციპი, მაგრამ ეს პრინციპი არ გამორიცხავს საზღვრების ობიექტურ და კანონიერ ცვლილებას, ნებაყოფლობით გადაცემას ან სხვა სახით დაკანონების უფლებას, შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმების სიცოცხლისუნარიანობაზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს ის, შერჩება თუ არა რუსეთს ეს ტერიტორიები. სავსებით რეალურია, რომ ისინი შერჩეს, მაგრამ საერთაშორისო ნორმები გაგრძელებს არსებობას. შეიძლება შეიცვალოს შინაარსი, მოხდეს მათი ფორმაცია, კორექცია და ის ახალ რეალობაში იქნება გამოყენებული, მიეცემა ახალი სიცოცხლე. საერთაშორისო სამართლის არსებობა არ არის დამოკიდებული ერთი სახელმწიფოს მოქმედებაზე ან რამდენიმე ქვეყნის მიერ მიღწეულ შედეგზე, საერთაშორისო სამართალი ფართო ცნებაა, განზომილებაში არსებობს და, შესაბამისად, მისი სიცოცხლისუნარიანობა არ არის დამოკიდებული სუბიექტურ მოქმედებებზე. ამის მიუხედავად, დაიდება რუსეთის მოქმედებების შედეგი, საჭიროებს აღიარებას, საერთაშორისო სამართლით სავალდებულოა, ისევე როგორც ჩვენს შემთხვევაში. მაგალითად, დღეს გვაქვს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ფაქტორი, ისინი არსებობს დე ფაქტოდ, მაგრამ მათი იურიდიული აღიარება არ არსებობს, შესაბამისად, საერთაშორისო სამართლის ნორმებს აქვს კონკრეტული პასუხი ასეთი ფაქტების და პროცესების მიმართ.

**- ვხედავთ, რომ არსებული მსოფლიო წესრიგი მოიშალა. სამომავლოდ რას უნდა ველოდოთ?**

- თუკი ვერ მოხერხდა რუსეთის სამხედრო და პოლიტიკური პოტენციალის, ამბიციების შეჩერება, ჩარჩოში მოქცევა, სავარაუდოდ, მივლენ იმ გადაწყვეტილებამდე, რომ შეიარაღებული კონფლიქტი შეჩერდეს, ცივი ომი შეიძლება განმეორდეს მსოფლიოში და გამალებული შეიარაღება დაუბრუნდეს ჩვეულებრივ რიტმს. აუცილებელია ისეთ პირობებზე შეჯერება, რომ არც რუსეთს და არც სხვა სახელმწიფოს არ ჰქონდეს ინტერესი, სამხედრო გზით გადაწყვიტოს საკუთარი პრობლემები. ამასთან დაკავშირებით რაღაც საერთაშორისო შეთანხმება უნდა მიიღოს მსოფლიომ. რისკი არსებობს, თუმცა საიმისო სიბრძნე დაგროვდა მეოცე საუკუნეში, რომ მსგავსი რამ არ განმეორდეს.

**- ჩანს, რომ დასავლეთი არც უკრაინის გამარჯვებით და არც რუსეთის რეალური მარცხითაა დაინტერესებული?**

- საინტერესო ფაქტორია. ასე მარტივად ეს არ ჩანს, თუმცა დასავლეთი რომ დაინტერესებული იყოს უკრაინის გამარჯვებით, მას აშკარად უფრო მეტი მხარდაჭერა და შეირაღება ექნებოდა, ვიდრე აქვს. ფაქტია, ევროპა და აშშ ფრთხილობენ და სავსებით გამართლებულია ეს სიფრთხილე, ვინაიდან რუსეთს აქვს უფრო ხისტი მოქმედებების პოტენციალი, რომლის დროსაც მოლაპარაკებებზე საუბარი აბსოლუტურად ზედმეტი იქნება. ამიტომ რბილი ძალით უნდა დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკებები. სანქციების სერია, რომელიც დაწყებულია, უნდა გაგრძელდეს, რუსეთი უნდა დავიდეს ეკონომიკურად და სამხედრო პოტენციალით იმ კონდიციამდე, რომ მის ინტერესებში შედიოდეს მოლაპარაკება და ნეიტრალური შეთანხმების მიღწევა. ამიტომ გამართლებულია რუსეთის ნელ-ნელა დამარცხების სტრატეგია, მაგრამ, ამავდროულად, არ დამარცხდეს უკრაინა, ანუ რუსეთმა არ იგრძნოს მარცხის შიში იმდენად, რომ უკიდურეს ზომებს მიმართოს და თავი დაიცვას ბირთვული იარაღით. ის ნელ-ნელა უნდა დაარწმუნონ იმაში, რომ ამ ომს აზრი არ აქვს, რომ უკრაინას ვერ დაამარცხებს, რომ აშშ და ევროკავშირი არ შეეგუება რუსეთის ამ მოქმედებებს და იმ შედეგს, რომლის შენარჩუნებას რუსეთი ომის დასრულების შემდეგ შეეცდება. ამგვარად, ნელა, რბილად უნდა მივიდეს რუსეთი იქამდე, რომ დადოს ისეთი ხელშეკრულება, რომლის დაცვაც შემდეგ მის ინტერესებში იქნება.

**- დაბოლოს დასავლეთმა რა უნდა გააკეთოს, რომ რუსეთმა მიზანს ვერ მიაღწიოს უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში?**

- ზოგადად, დასავლეთი და აშშ ყოველთვის იყვნენ თანმიმდევრულები და გააზრებულად მოქმედებდნენ რუსეთის წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის დაშლაც ამაზე მიუთითებს. ისინი პირდაპირ, შეიარაღებული კონფლიქტით კი არ დაუპირისპირდნენ საბჭოთა კავშირს, არამედ სხვადასხვა წერტილში უქმნიდნენ მას ეკონომიკურ პრობლემებს და მიზანსაც მიაღწიეს. დღესაც, როგორც ჩანს, იგივე სტრატეგია გრძელდება - რუსეთს სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს აცლიან, რაც, მათი გადასახედიდან, გამართლებულია, ამიტომაც არ მთავრდება ეს ომი ასე უცებ. რესურსები დასავლეთს აქვს, მაგრამ ჯერჯერობით, როგორც იკვეთება, მას არ აქვს ცეცხლის შეწყვეტის სურვილი, თუმცა ეტაპობრივად ის მიაღწევს იმას, რომ რუსეთს აღარ ექნება ძალა, რესურსი და, თავისთავად, აზრი არ ექნება ომის გაგრძელებას, ეკონომიკის კოლაფსი გამოიწვევს რუსეთის დაშლას, ხელისუფლების ვერტიკალის ჩამოშლას, დაიწყება ქაოსი, შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებაც ვიხილოთ, რაც რუსეთმა ერთხელ გაიარა, თუმცა დღევანდელი კრემლი ამას ყურადღებას არ აქცევს, ყველანაირად ცდილობს, დაარწმუნოს მსოფლიო, რომ აქვს რესურსი და საწადელს მიაღწევს. აქედან გამომდინარე, ითხოვს მის მიერ დასავლეთისთვის წაყენებული პირობების მიღებას. მოკლედ, რაც უფრო სიღრმისეულად გაითავისებს დასავლეთი რუსეთის ვერაგობას, მით მალე დასრულდება აღნიშნული კონფლიქტი, თუმცა, როგორც ჩანს, არც დასავლეთია დაინტერესებული მისი დაუყოვნებლივ შეწყვეტით.

**ლაშა ხომერიკი**

> *„რუსეთს არ აქვს დაგეგმილი უახლოეს მომავალში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულება. აშკარაა, რომ რაღაცის მოლოდინშია, ისწრაფვის, გადატეხოს უკრაინის წინააღმდეგობა და მოლაპარაკებებისა და მოთხოვნების მხრივ იყოს უპირატეს მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, ყველა შეიარაღებული კონფლიქტის ძირითადი მიზანი მოწინააღმდეგის კაპიტულაციაა, მაგრამ, ამ შემთხვევაში, სავსებით რეალურია, რუსეთი დასჯერდეს იმ მოთხოვნების შესრულებას, რაც ზემოთ აღვნიშნე*

# „მარადიული გოგოს“ სიყვარულით დაწერილი ცხოვრება...

*„ყველას თავისი წილი ცისანა ჰყავს, ბედნიერებაა, რომ ასეთი ქალბატონი დააბიჯებს ჩვენ გვერდით“, „ცისანა ჭეშმარიტი პოეტია, პოეტი, რომელიც სახეებით აზროვნებს და ქმნის ჭეშმარიტ ლიტერატურას“, „ცისანას ყველა უყვარს და ცისანა ყველას უყვარს, ის სიყვარულისთვის მოვლენილი ადამიანია ამ ცისქვეშეთში“, „ცისანა უხდება ბათუმს, ცისანა ამ ქალაქის ძვირფასი სამკაულია, რომელიც არასდროს გაფერმკრთალებულა, გაუბრალოებულა, რომელიც სულ ანათებს და სხვებსაც უნათებს გზას“ - ასეთი და კიდევ უამრავი თბილი სიტყვა გაჟღერდა აჭარის მწერალთა სახლში გამართულ საღამოზე, სადაც პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ათეულობით წიგნისა და პუბლიკაციის ავტორის, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატისა და, უბრალოდ, ყველასათვის ძალიან საყვარელი ადამიანის - ცისანა ანთაძის საიუბილეო საღამო გაიმართა. „მარადიული გოგო“, როგორც მას პოეტმა ვახტანგ ღლონტმა უწოდა, 85 წლის გახდა და, როგორც თავად აღნიშნა, სწორედ ამდენივე წელია, ეფერება სამყაროში ჩატეულ ყველა ემოციას, გრძნობას, რომელიც, ცხოვრების არაერთი გამოწვევის მიუხედავად, ადამიანს ადამიანად ტოვებს*

გურიაში დაიბადა. ბავშვობას დიდი სიყვარულითა და აღტაცებით იხსენებს. ამბობს, რომ წლები, როცა პეპლებს დასდევდა, ყვავილებს კრეფდა, წლები რომლებიც სავსე იყო ძვირფასი ადამიანებით, დღემდე ათბობს და ენატრება, მაგრამ ვერ გაუგია, როგორ სწრაფად გაირბინა და დარჩა ბებიის სკივრში შენახული ნივთებივით, რომელთა დათვალიერებისას თვალებზე აკიაფებული გულწრფელი ცრემლები არ ანებებს თავს. შემდეგ იყო ბათუმი, ქალაქი, რომელმაც შვილივით მიიღო, გულში ჩაიხუტა და მას შემდეგ ხელი აღარ გაუშვია. იყვნენ პიროვნებები, რომლებმაც პატარა გოგოში დიდი ადამიანი დაინახეს და დაიმეგობრეს, ფართოდ გაუხსნეს მწერლობის კარი, მისცეს სივრცე, რომ ჩვეული გულწრფელობით გაეშალა ფრთები, სამყაროს სილამაზე და ადამიანური განცდები პოეზიად გარდაექმნა. დიდი სიყვარულით იხსენებს ზურაბ გორგილაძეს, ფრიდონ ხალვაშს, ჯემალ ჯაყელს, ნანა გვარიშვილს და კიდევ არაერთ პოეტს, მწერალს, ვინც მისცა სტიმული, ეწერა იმაზე, რასაც გრძნობდა, რაც სტკიოდა თუ ახარებდა. ცისანა ანთაძე ეკუთვნის იმ პოეტთა რიცხვს, ვისი პოეზიაც არ ყვირის, არ მოითხოვს ყურადღებას, მაგრამ ვისი სიტყვაც ზუსტად თავისი სიჩუმით დიდხანს რჩება მკითხველში. იგი ქართულ პოეზიაში წარმოადგენს იმ ნაზ, ინტიმურ და გულწრფელ ხაზს, რომელიც მუდმივად საჭიროა სულიერი წონასწორობისთვის. ამბობს, რომ მისი შემოქმედების მთავარი ძარღვი სამშობლოა, რომლის პულსაციას სულ გრძნობს, რომ სამშობლოა მისი დედაც, მამაც, შვილიც, მზეც, მთვარეც და საერთოდ, ყველაფერი, რისთვისაც ღირს დაბადებაც და სიკვდილიც. ბედნიერია, რომ უყვარს და უყვართ. თავად სიყვარულზე შეყვარებული პოეტია ცისანა ანთაძე, რომელზეც შეგვიძლია დაუსრულებლად ვისაუბროთ, მაგრამ დროა იმ ადამიანებს დავუთმოთ ასპარეზი, რომლებსაც სურთ, თავისი წილი სიყვარულით მოეფერონ პოეტს.

**როი აბუსელიძე, პოეტი:**

- ქალბატონი ცისანა ანთაძე ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა ჩვენი ქალაქის ისტორიაში და ეს უკვე ათწლეულებია, ასეა. მისი პოეზია არის საოცრად თბილი, საოცრად ქალური, საოცრად მიზანმიმართული. შეიძლება ითქვას, წარმოუდგენელია მისი ლექსები ერთხელ მაინც წაიკითხოს მკითხველმა და არ დაამახსოვრდეს. ცისანა ანთაძე, უდავოდ, გამორჩეული ხმაა ლიტერატურაში. მისი პოეზია ყოველთვის ემსახურებოდა სამშობლოს სიყვარულს, ხალხის სიყვარულს და ისევ და ისევ - ლექსის სიყვარულს. გამორჩეული ავტორია იმ კუთხითაც, რომ განსაკუთრებით იცის თავისი კოლეგების დაფასება, გვერდით დგომა. ყველას შემოქმედებას პატივს სცემს, სტიმულს აძლევს. ვუსურვებ ძალიან დიდხანს სიცოცხლეს, ჩვენ გვერდით დიდხანს ყოფნას. თავისი ლამაზი და ლაღი ლექსებით კიდევ მრავალჯერ გაგვახაროს.

**დავით თედორაძე, აჭარის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე:**

- ცისანას ვულოცავ საიუბილეო თარიღს - 85-ს, არადა, ენერგიით, გარეგნობით უფრო ახალგაზრდაა და თანაც მკვირცხლი. ძალიან, ძალიან მიყვარს. საუკეთესო სურვილებით ყოველთვის მის გვერდით ვიყავი, როგორც ცოტათი უმცროსი ძმა და მეგობარი. ვამაყობდი მასთან ურთიერთობით. ის არის სიტყვის ერთგული, საქმის ერთგული, სამშობლოს დიდებისთვის გაჩენილი ქალბატონი. მასთან ერთად ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, განსაკუთრებით მახსენდება თურქეთის რესპუბლიკის ქართული სოფლები. ის, როგორც მამაკაცი, ისე გაგიწევს პარტნიორობას დალევაშიც, სიტყვაშიც, მართლაც უნაკლო ქალბატონია, რომელსაც არასოდეს არაფერი შეშლია. აღსანიშნავია ცისანას ურყევი ერთგულება. ამის მაგალითია ის, რომ როცა ყველამ დაიჯერა ზვიად გამსახურდიას სიკვდილი, მას დიდხანს ისევ ცოცხალი ეგონა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ცისანა „არ ირხევა ვითარცა ლერწამი ქართაგან ძლიერთა“. ჯანმრთელობას ვუსურვებ. საუკეთესო სურვილებით ყოველთვის მის გვერდით ვიქნები.

**მაია ხაჯიშვილი, აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრი:**

- შეიძლება ითქვას, რომ ქალბატონი ცისანას შემოქმედება ყოველთვის ახალგაზრდა და უბერებელია. სიტყვები, რომლებითაც ის ეფერება ქართულ პოეზიას, არის ყოველთვის დასამახსოვრებელი, განსხვავებული ლირიკით გამორჩეული. ასევე, გამორჩეულია ძალიან ღრმა, ფილოსოფიური მიგნებებით და ეს ისეთ სინთეზშია ლირიკულ სიტყვებთან, რომ ახლოს მიდის თითოეულ მკითხველთან. ის თანაბრად ეფერება როგორც ბუნებას, ასევე სამშობლოს, ჩვენს კულტურას და, რაც მთავარია, ყოველთვის პასუხობს საზოგადოების წინაშე არსებულ გამოწვევებს. ის არის დიდი საზოგადო მოღვაწე, ქალბატონი, რომელსაც შეუძლია თამამად თქვას, რომ წარმოადგენს ჩვენი ქალაქის, ჩვენი რეგიონისა და მთლიანად ქართული მწერლობის სახეს.

**ვახტანგ ღლონტი, პოეტი:**

- ისეთი, როგორიც ცისანაა, ალბათ ორი ან სამი ადამიანი თუ არსებობს, ის მარადიული გოგოა. ყველას თავისი ამბიციები აქვს, ხან არასწორი, ხან იქნებ სწორიც და ვამბობ, რომ ჩვენ უპირველესად, ადამიანობა მოგვეთხოვება. შეიძლება სადღაც ვგრძნობთ, რომ ფრთები გვაქვს, მაგრამ, პირველ რიგში, მიწაზე მოსიარულე ხალხი ვართ. ცისანა ის ადამიანია, არასოდეს რომ არ შემცდარა მიწაზე და ვინც მიწაზე არ შემცდარა, ჩათვალეთ, ის ცაშიც არასოდეს შეცდება, იმიტომ, რომ დაცემის საშუალება აქ მეტია, ვიდრე ცაში. მე იმას ვნანობ, რომ დღეს აქ ვერ ილაპარაკებენ ზურაბ გორგილაძე, ფრიდონ ხალვაში და სხვები იმ თაობიდან.. ცისანა უყვარდა ყველას, ყოველთვის მეგობარს ხედავდნენ ცისანაში. ლამაზად დაგვიბერდა ცისო, მთელ დარბაზს თვალები უღიმოდა მისი ცქერისას, ეს იშვიათია და ეს ცისანას პიროვნებამ შექმნა. ვისთანაც იყო, მართალი იყო თუ არ იყო, იყო უსაშველოდ ერთგული და ერთგულებაზე სწორი, ვფიქრობ, არაფერია. ვულოცავ მას 85 წელს. მინდა დიდხანს ჰყავდეს მის ოჯახს და, რა თქმა უნდა, მის ქვეყანას.

**მარინა მითაიშვილი, გაზეთ „აჭარის“ მთავარი რედაქტორი:**

- სახელიც რა კარგად შეურჩევიათ მის მშობლებს - ცისანა ანუ ცისა, მართლაც, ცისაა პოეზიითაც და ადამიანობითაც. მისი ლექსები ისეთივე ნამდვილია, როგორიც თავადაა - უშუალოც, ლაღიც, მართალიც, უშიშარიც, თავისუფალიც და, რაც მთავარია, სიყვარულით სავსე. ნიჭი, სიყვარული და ერთგულებაა ცისანა ანთაძის მთავარი ღირსებები. მისი უღალატობა საარაკოა, გვერდით დგომის უნარი - სასწაული. საკუთარ თავზე გამომიცდია, როგორ ბოლომდე იცის მხარში ამოდგომა... საოცარი თხრობა შეუძლია პროზითაც და პოეზიითაც, ბოლომდე შეგიყვანს თავის სამყაროში და მასთან ერთად განებივრებს იმ სილამაზით, რაც სულში აქვს... და მაინც, მისი სულიერი სილამაზის ყველაზე დიდი გამოხატულება სხვისი ნიჭის არა მარტო დანახვის, არამედ მისით აღფრთოვანების უნარია, რაც ხელოვანისთვის საკმაოდ იშვიათი თვისებაა. არაერთხელ მომისმენია მისგან ჩემთვის მანამდე უცნობი ბათუმელი ავტორების სტრიქონები, რომლებსაც რედაქტირების დროს მიკითხავდა ხოლმე და აღტაცებული მეუბნებოდა, ნახე, რა კარგიაო. ვფიქრობ, 85 წლის დამრგვალების მიუხედავად, მისი ახალგაზრდული გარეგნობის და შემართების მიზეზიც სწორედ ესაა - სხვისი ნიჭით, სიხარულით გახარების უნარი, სწორედ ამიტომ ინარჩუნებს ხალისს, სიცოცხლის სიყვარულს და ახალგაზრდობას. ჯანმრთელობას და მისი სალოცავის - სამშობლოს აყვავებას ვუსურვებ ჩემს ცისოს, დიდ პოეტს და ჩემს უახლოეს ადამიანს, რომელმაც გურიის პატარა სოფლიდან ჩამოტანილი დიდი ნიჭითა და სავსე გულით გაამდიდრა ჩვენი ქალაქი.

საღამოს დასასრულ პოეტმა მადლობა გადაუხადა ბათუმს, ბათუმელებს, მისი შემოქმედების გულშემატკივრებს და აღნიშნა, ავტობიოგრაფიულ წიგნს რომ წერდეს, აუცილებლად დაარქმევდა სიყვარულს, გრძნობას, რომლითაც 85 წელი იცოცხლა და რომელიც ერთი წუთითაც არ განელებულა მასში.

- უხერხულად ვარ, მრცხვენია, რომ ამ ასაკში იუბილეს ვიხდი. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ამდენ ადამიანს უყვარხარ. ალბათ, ჩემმა სიყვარულმა, ერთგულებამ მოიყვანა ისინი დღეს აქ. მადლობა თითოეულ ადამიანს თავისი ძვირფასი დროის დათმობისთვის, ამხელა სიყვარულისა და სითბოს ჩუქებისთვის. სიტყვები არ მყოფნის აღტაცებისა და მადლიერების გამოსახატავად. მადლობა ღმერთს პოეზიისთვის, რომელსაც დაუღალავად ვემსახურები. ყოველთვის, ზეცა მკარნახობს, რაც უნდა დავწერო, იცის მაღალმა ღმერთმა. ჩემი მთავარი სათქმელი ბათუმისა და ადამიანების სიყვარულია. ამ ქალაქის ყველა უბანი, ყველა ქუჩა მიყვარს და ვეფერები. ამიტომაცაა, რომ ჩემი ყველა წიგნი ბათუმზე მიძღვნილი ლექსით იწყება. ბათუმია ჩემი გრძნობების, პოეზიის თავშესაფარი. მიყვარხართ ყველა, მადლობა ყველას, - თქვა ცისანა ანთაძემ.

პოეტს, მრავალწლიანი შემოქმედებითი საქმიანობისა და ქართული მწერლობის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, აჭარის კულტურის სამინისტროსგან ფულადი ჯილდო გადაეცა.

**ნანა აბულაძე**

# „შეცდომას ვაპატიებ ადამიანს, ღალატს – ვერა, პირველ რიგში, ქვეყნის ღალატს“

***10 ივნისს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა ბსუ-ის ემერიტუს პროფესორ რაშდენ ფუტკარაძეს. ცხოვრების, შრომითი საქმიანობის საინტერესო გზა განვლო. „საპატიო შუახევლის“, „საპატიო მარეთელის“ წოდებები იმაზე მიანიშნებს, რომ იგი მშობლიურ კუთხესთან კავშირს ერთი დღითაც არ წყვეტს. 17 წლისა ჩაერთო და დღესაც ლექციების კურსს კითხულობს უნივერსიტეტში***

- ჩემს ცხოვრებაში ტკივილი ყოველთვის იცვლებოდა ბედნიერებით, სისუსტე - სიძლიერით, სიძულვილი - სიყვარულით, ეჭვები კი თავდაჯერებულობად იქცეოდა. ეს ყველაფერი, უპირველესად, იმ ადამიანების დამსახურებაა, ვისთანაც მიწევდა ურთიერთობა, მუშაობა. დღეს უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ უკან მოხედვის ნამდვილად არ მეშინია. ცხოვრება ფუჭად არ გამივლია. ჩემი ფილოსოფია ასეთია: რას ამბობენ ჩემზე, ჩემი საქმე არ არის. მე ვარ ის, ვინც ვარ და ვაკეთებ იმას, რასაც ვაკეთებ... და ეს აადვილებს ცხოვრებას. როგორ ვიცხოვრე? ამაზე პასუხი საზოგადოებამ უნდა გასცეს, თუმცა ჩემზე კარგად ვინ იცის ეს? დავიბადე და აღვიზარდე გლეხის ოჯახში. მშობლები პატარაობიდანვე მაჩვევდნენ შრომას, დამოუკიდებელი ცხოვრების უნარ-ჩვევებს. მატერიალურად გვეჭირდა-მეთქი, ნამდვილად ვერ ვიტყვი, მაგრამ მეც და ჩემს და-ძმებს, ისე აღვიზარდეთ, რომ ზედმეტი არასოდეს არაფერი გვქონია. სწორი აღზრდით მივეჩვიეთ წესრიგსა და დისციპლინას, ვისწავლეთ ზრდილობა, უფროსების დაფასება და, რაც მთავარია, წესიერი ადამიანური ცხოვრება.

**- საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ, რომ ტკივილიც იყო...**

- ჩემზე უმცროსი ძმები ამირანი და ბიჭიკო ნაადრევად გამოგვეცალნენ ხელიდან, ამირანი 42 წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ავტოავარიის შედეგად, ხოლო ბიჭიკო 65 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა. ორივე ძმა საოცრად დიდბუნებოვანი და ალალ-მართალი პიროვნება იყო, მათზე განაწყენებულ ერთ ადამიანსაც ვერ ნახავთ. უფრო მტკივნეული იყო შვილის - ელგუჯას გარდაცვალება...

**- სოფლის სკოლის მასწავლებელმა რით მიიქციეთ საზოგადოების ყურადღება?**

- სკოლის დამთავრებისთანავე, სტუდენტობასთან ერთად, მუშაობა დავიწყე ბათუმის №5 ტრესტში, მუშად. მეორე კურსის დასრულების შემდეგ, როგორც ფრიადოსანს, რეკომენდაცია მომცეს, გადავსულიყავი დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე და მასწავლებლად მემუშავა. მშობლიური ლომანაურის 8-წლიან სკოლაში დავიწყე მუშაობა. ორი თვის შემდეგ განცხადება შევიტანე სამხედრო კომისარიატში და მოვითხოვე ჯარში გაწვევა. არ ვნანობ, რომ ხუთი წელი დავუთმე სამხედრო და 27 წელი მილიციაში (პოლიციაში) სამსახურს. მიმაჩნია, რომ სამხედრო სამსახურში გატარებული წლების განმავლობაში არანაკლები ცოდნა, გამოცდილება და უნარები დავაგროვე, ვიდრე ორი უმაღლესი და აკადემიური განათლების მიღებისას. ასევე, დარწმუნებული ვარ, რომ სამხედრო სამსახური რომ არ გამევლო, კარიერულ საფეხურზე ამის ნახევარი მიღწევაც არ მექნებოდა. ვფიქრობ, ალალად ვიცხოვრე, უშეცდომო არავინაა. რა თქმა უნდა, შეცდომა ბევრი მაქვს ცხოვრებაში დაშვებული, თუმცა საბედისწერო შეცდომის დაშვების უფლება არ უნდა მისცე კაცმა საკუთარ თავს... უნაკლოც არავინაა, ნაკლიც მაქვს, მაგრამ ეს რორომ იცი, უკვე მის აღმოფხვრაშიც დაგეხმარება. გარკვეულ მიღწევად ვთვლი იმასაც, რომ მივიღე პოლკოვნიკის წოდება, სამართლის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, ვიყავი უმაღლესი სასწავლებლის მოწვეული მასწავლებელი, დოცენტი, ასოცირებული პროფესორი, სრული პროფესორი, 2010 წლიდან კი ვარ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი (საპატიო დოქტორი). დღემდე ვკითხულობ ლექციებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში. უადგილო არ იქნება თუ ვიტყვი, რასაც მივაღწიე, პირველ რიგში, მივაღწიე საკუთარი შრომითა და გარჯით, უძილო ღამეებით. დღემდე არ ვინდობ თავს და მუხლჩაუხრელად ვშრომობ, შეგნებული მაქვს ის, რომ ტიტანური შრომისა და გარჯის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ... მეამაყება, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ვაჩუქე თავისუფლება, აღვუდგინე დარღვეული უფლებები, დავუბრუნე ხვალინდელი

> ***„დღემდე არ ვინდობ თავს და მუხლჩაუხრელად ვშრომობ, შეგნებული მაქვს ის, რომ ტიტანური შრომისა და გარჯის გარეშე წარმატებას ვერ მიაღწევ... მეამაყება, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ვაჩუქე თავისუფლება, აღვუდგინე დარღვეული უფლებები, დავუბრუნე ხვალინდელი დღის იმედი და, რაც მთავარია, რწმენა. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი განვლილი რთული ცხოვრების მიუხედავად, სასოწარკვეთილებას არ მივეცე***

დღის იმედი და, რაც მთავარია, რწმენა. ყოველთვის ვცდილობ, ჩემი განვლილი რთული ცხოვრების მიუხედავად, სასოწარკვეთილებას არ მივეცე, სულ მხნედ და შემართებით ვიყო, არავის ვაგრძნობინო ჩემი დარდი და ტკივილი. როგორ გამომდის ეს, სხვა საკითხია, მაგრამ ვერავინ იტყვის, რომ ვინმეს ვუღალატე და გვერდით არ დავუდექი, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში. ცხოვრებაში არასოდეს მიზრუნია იმისათვის, რომ ვინმეს ვყვარებოდი, იმაზე კი ნამდვილად ვზრუნავ, რომ არავის ვძულდე.

**- რას განიცდით ყველაზე მტკივნეულად?**

- მტკივნეულად განვიცდი პიროვნული ღირსების შელახვას, როცა ვხვდები, რომ მატყუებენ. მტკივნეულად განვიცდი არაკაცურ ურთიერთდამოკიდებულებას, უსინდისობას. ვფიქრობ, თავად გრძნობების ამყოლი კაცი არ ვარ. გაბრაზებას არასოდეს გამოვხატავ ყვირილით. ექსტრემალურ სიტუაციაში შესაძლოა ავფეთქდე კიდეც, თუმცა ომშიც (ცხინვალში) და ომთან გათანაბრებულ სამხედრო სწავლებებშიც (1967 წლის აგვისტო-სექტემბერი) სიმშვიდე არ დამიკარგავს. მოკლედ, თავს ადვილად ვთოკავ, თუმცა მქონია სიტუაციები, როცა ნერვები ვეღარ მიძლებდა. ყოველთვის დიდი სურვილი მქონდა, ვყოფილიყავი უშუალო ურთიერთობებში. მაგრამ ცუდ გუნებაზე თუ ვიყავი, ჩემთან შეხვედრას ერიდებოდნენ შინაურულ წრეში, უცხო პიროვნება კი ჩემს ცუდ განწყობას ვერც კი შეამჩნევდა. შეცდომას ვაპატიებ ადამიანს, მაგრამ ღალატს - ვერა. პირველ რიგში, ქვეყნის ღალატს, შემდეგ ოჯახის, კაცობის ღალატს. ყოველთვის ვცდილობდი ცხოვრების მაღალზნეობრივი კოდექსით მეხელმძღვანელა.

**- თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში შუახევის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებას ხელმძღვანელობდით, ქვეყნისთვის ძნელბედობის წლებში...**

- შრომითი საქმიანობისას სასწაულები ნამდვილად არ მომიხდენია, მაგრამ გაბედულად ვიტყვი, რომ ყოველთვის პირნათლად ვასრულებდი ჩემზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ მიმართებით, განსაკუთრებულად რთულია პოლიციაში ხელმძღვანელ თანამდებობაზე სამსახური. აქ თავზე ხელს არავინ გადაგისვამს და არც შენ გაქვს ამის ვალდებულება. დამნაშავეთა სამყაროს არ უნდა ელოლიავო, მას კანონის ენით უნდა ელაპარაკო. ასევე, მოზომილი უნდა იყოს მოსახლეობასთან ურთიერთობა, მით უმეტეს ახლა, როცა ეკონომიკურად და სულიერად ბევრს უჭირს. ჩვენთან მუშაობას რომ იწყებდა ახალგაზრდა, ყოველთვის ვეუბნებოდი: შენ კაცი იყავი და პროფესიონალს მე გაგხდი-მეთქი. თუ ჩემს თანამშრომელთაგან ვინმე პროფესიონალად ვერ ჩამოყალიბდა, ალბათ, საკუთარ თავს უნდა დაებრალოს. სამწუხაროდ, დღეს პრესტიჟული სამსახური, კარგი მანქანა ფასობს და არა საქმის ცოდნა და მორალური სიწმინდე, არადა, წარმატების საწინდარი ეს ორი ფაქტორია, რომელსაც შრომისმოყვარეობა უნდა დავუმატოთ. ყოველთვის ვცდილობდი, მქონოდა საკუთარი სივრცე ჩემი ნიჭის განვითარებისთვის. ზომიერად ვარჩევ ცხოვრების მუქ და ნათელ ფერებს. ვარ ზომიერად კეთილი და მგრძნობიარე, რაც მეხმარება ადამიანებთან ურთიერთობაში.

**- მეგობრებსა და მეგობრობაზე რა შეხედულების ხართ?**

- მყავს იმდენი მეგობარი, რამდენთანაც შევძლებ მეგობრული მისიის შესრულებას. მიყვარს მათი ცხოვრების გალამაზება. ვფიქრობ, რომ ადამიანები ჩემ გვერდით თავს მშვიდად და დაცულად გრძნობენ. ყოველ ადამიანს აქვს თავისი ცხოვრება და შენ არ უნდა გახდე დაბრკოლება მის ცხოვრებაში. კაცმა ისე უნდა იცხოვროს, დარწმუნებული იყოს, რომ მისი შთამომავლობა ღირსეულად და სამართლიანად ივლის მის ნაკვალევზე.

**- კიდევ რა შეგიძლიათ თქვათ საკუთარი თავის შესახებ?**

- ამბობენ, ცხოვრება წამიაო, მაგრამ 80 წელიწადი, ჩემი გაგებით, ძალიან დიდი დროა. დავიბადე 1945 წლის 10 ივნისს, ხულოს რაიონის სოფელ ლომანაურში. ვარ აჭარის მამულიშვილთა საგვარეულო კავშირის გამგეობის წევრი და შუახევის ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ფიზისის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი, საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება „სამშობლოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი, „საპატიო შუახეველისა“ და „საპატიო მარეთელის“ წოდებების მფლობელი. 1984 წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით, მიმავლინეს საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის პირველ ფაკულტეტზე ქალაქ მოსკოვში, სადაც მისაღები გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ გავაგრძელე სწავლა და წარმატებით დავასრულე 1986 წელს. იმავე წელს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით, საქმიანობა გავაგრძელე შუახევის რაიონული განყოფილების უფროსად. 1994-1998 წლებში პარალელურად ვსწავლობდი და წარმატებით დავამთავრე ბათუმის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. 2004 წლის იანვრიდან, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეკომენდაციით, გადამიყვანეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის ბათუმის ფილიალში ზოგად იურიდიული დისციპლინების ციკლის უფროსად. 2005-2006 წლებში პარალელურად ვმუშაობდი შპს „აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სახელობის იურიდიული აკადემიის“ იურიდიული მომსახურების ცენტრის „იურვერსის“ დირექტორად, ამასთანავე, ვკითხულობდი ლექციებს სისხლის სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალში. 2006 წლის სექტემბერში ამირჩიეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად. 2009 წლის სექტემბერში - ამავე უნივერსიტეტის სრულ პროფესორად. 2010 წლის ოქტომბერში მომენიჭა ბსუ-ის ემერიტუსის საპატიო წოდება. 2007-2011 წლებში პარალელურად ვმუშაობდი ბათუმის დამოუკიდებელი უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელად, 2011 წლიდან კი ვარ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორი.

**- თქვენი ავტორობით გამოცემული წიგნები...**

- „ტესტები სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლებში“; „საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები“ (დამხმარე სახელმძღვანელო); „ადგილობრივი თვითმმართველობა, მისი ინსტიტუციონალური განვითარების თავისებურებები და პერსპექტივები საქართველოში“; „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, მოკლე კურსი“ (სასწრაფო დახმარება სტუდენტს); „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანიზაცია და ადგილობრივი ადმინისტრაციული წარმოება“, მომზადებული მაქვს გამოსაქვეყნებლად შემდეგი სალექციო კურსები: „შესავალი სამართალმცოდნეობაში“; „ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი“; „ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი“; „მუნიციპალური სამართალი“; „ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა“.

**- და ამ ყველაფერს ოჯახიც ემატება...**

- მართლმადიდებლური ოჯახი გვაქვს. მეუღლე მარიამ წულუკიძე სპეციალობით მათემატიკოსია. სხვადასხვა დროს მუშაობდა ლომანაურის 8-წლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლებლად, შუახევის რაიონის განათლების განყოფილების ფილმოთეკის გამგედ, დაბა შუახევის ბაგა-ბაღის აღმზრდელად. ამჟამად დამსახურებულ პენსიაზეა. გაისად მასაც დაბადებიდან 80 წელი უსრულდება. თქვენი გაზეთის ფურცლებიდან წინასწარ მივულოცავ იუბილეს. გავზარდეთ ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი. ელგუჯას ტრაგიკულ სიკვდილზე უკვე გითხარით. ბადრი და ქეთინო დაოჯახებულები არიან. შვილიშვილებსაც მოვესწარი... შვილის დაღუპვის ტრაგედია გვარგუნა ბედმა... თუმცა, მეუღლესთან ერთად, ვცდილობ ჩვენი განვლილი რთული ცხოვრების მიუხედავად, სასოწარკვეთილებას არ მივეცეთ, მხნედ და შემართებით ვიყოთ, არავის ვაგრძნობინოთ ჩვენი დარდი და ტკივილი.

**ოთარ ცინარიძე**

# თვითნასწავლი შეფმზარეულის გზა - წარმატებამდე

***დღეს სულ უფრო ხშირად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც თავის პროფესიებს კი არა, საკუთარ ოცნებებს მიჰყვებიან. ჩვენს სტუმარს სწორედ ასეთი ისტორია აქვს. მირიან შაქარიშვილი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებულია, თუმცა კარიერა სრულიად სხვა მიმართულებით განავითარა. თვითნასწავლმა შეფმზარეულმა, უცხოეთში დაგროვილი გამოცდილებით, საკუთარი თავი სუშის ხელოვნებაში იპოვა. სწორედ ამ გამოცდილებამ ჩამოაყალიბა მისი უნიკალური კულინარიული სტილი და დააჯერა, რომ სუშის - იაპონური ტრადიციით შთაგონებული, დახვეწილი და ტექნიკური კერძის მომზადება მისი ცხოვრების მთავარი სპეციალობა გახდებოდა***

*მირიანი ქობულეთში დაიბადა, წლების განმავლობაში ბათუმის ერთ-ერთი რესტორნის თანამფლობელიც იყო, თუმცა 28 წლის ასაკში სუშის საკუთარი რესტორანი გახსნა და დღეს უკვე წარმატებული მეწარმეა. როგორც თავად გვითხრა, თავდაპირველად, ეს იყო მხოლოდ დაინტერესება, შემდეგ - ჰობი, მერე კი მიზანმიმართული თვითგანვითარება, რომელმაც სრულიად შეცვალა მისი მომავალი. საკუთარ რესტორანში დღეს უკვე თავად ქმნის კონცეფციას, გარემოს, მენიუს და სტუმრებს კულინარიულ გამოცდილებას უზიარებს. როგორ დაიწყო ყველაფერი, როგორ განვითარდა, რა ისწავლა საზღვარგარეთ, როგორ მოერგო ქართულ ბაზარს და როგორ გახდა ერთი შეხედვით მზარეულობისგან შორს მდგომი სფეროს წარმომადგენელი წარმატებული - ამ თემებზე მირიან შაქარიშვილი თავად გვესაუბრება.*

**- მირიან, როგორ და როდის გადაწყვიტეთ, რომ შეფმზარეულობა თქვენი მოწოდება იყო?**

- ჯერ კიდევ 16 წლის ვიყავი, როცა ამ სფეროთი დავინტერესდი და სურვილი გამიჩნდა, მეც ვმდგარიყავი იმ შეფების ადგილზე, ვინც გუნდს მართავდა, ქმნიდა საავტორო კერძებს და, რაც მთავარია, ვისზეც რესტორანი „იდგა“.

**- გახსოვთ თქვენი პირველი პროფესიული გამოცდილება სამზარეულოში?**

- რა თქმა უნდა. ეს ისეთი მომენტი იყო, რომ ცხოვრების ბოლომდე არ დამავიწყდება. დიდი ამბიციები რომ გაქვს და დგება დრო, შენი თავი მაქსიმალურად წარმოაჩინო უკვე ნასწავლის საფუძველზე, ეს ძალიან დიდი გამოწვევაა. მოგეხსენებათ, ქართული ხასიათი თავისას შვება და პირველი პროფესიული გამოცდილებით შემერულის ჩემეული ვერსია მოვამზადე, რამაც დიდი მოწონება დაიმსახურა.

**- ვინ ან რამ გიბიძგათ წარმატებისკენ ამ პროფესიაში?**

- სულ რაღაც 14 წლის ვიყავი, როდესაც ერთ-ერთ რესტორანში მიმტანად დავიწყე მუშაობა, ჩემი ჯიბის ფული რომ მქონოდა. სარესტორნო სფეროში როცა ტრიალებ, ამ ასაკში ყველაფერს სხვანაირად აკვირდები. მაშინ დავინახე, როგორ შეეძლო მზარეულს, ყველასგან განსხვავებული კერძი შეექმნა და დაეგემოვნებინა. რა დასამალია და, გემრიელი კერძები ძალიან მიყვარს, ამიტომ მიზნად დავისახე მზარეულობა, რომ მეც მქონოდა კარგი კერძის მომზადების შესაძლებლობა.

**- როგორ შეიცვალა თქვენი დამოკიდებულება კერძების მიმართ მას შემდეგ, რაც სხვადასხვა ქვეყანაში იმუშავეთ?**

- ჯერ პოლონეთში, შემდეგ კი გერმანიაში ვიმუშავე გარკვეული პერიოდი და მინდა გითხრათ, რომ რადიკალურად შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება კერძებისადმი. უცხოეთში გვქონდა შესაძლებლობა, რომ ეგზოტიკური კერძები მოგვემზადებინა, რაშიც პროდუქტი გვეხმარებოდა. ჩვენთან ბევრი რამ ხელმისაწვდომი არ არის. აღსანიშნავია, რომ იქ სხვა სითბო ვიგრძენი სამზარეულოში, სხვა პასუხისმგებლობა. ვისწავლე კერძების სხვა მიმართულებით მომზადება და რაც მთავარია, ძველი ტრადიციებითაც. ეს ხომ უნიკალურია.

**- რომელ ქვეყანაში გქონდათ ყველაზე დიდი პროფესიული გამოწვევა და რატომ?**

- ალბათ, გერმანიაში. გამოწვევას ვერ დავარქმევ, ეს უფრო დუელს ჰგავდა, სადაც შიშველი ხელებით ვიბრძოდი და მხოლოდ ფარი მქონდა. ეს ფარი ჩემი შემართება, სამზარეულოსადმი სიყვარული და ცოდნის გაფართოების უშრეტი სურვილი იყო.

**- რა ძირითადი განსხვავებები შეამჩნიეთ გერმანულ, პოლონურ და ქართულ სამზარეულო კულტურებს შორის?**

- ძირითადად, ის, რომ შეგეძლო ახალი, ფრეშპროდუქტებით გემუშავა (აქ ბევრი რამ გაყინულია). უცხოეთში ყველანაირი საშუალება იყო იმისთვის, რომ გაზრდილიყავი, შენი ცოდნა გაგეღრმავებინა და შეგექმნა გემრიელი, ჯანსაღი კერძები.

**- რატომ გადაწყვიტეთ, რომ სუშის მომზადება თქვენი სპეციალობა გამხდარიყო?**

- გაგიკვირდებათ და, მე არ გადამიწყვეტია, ხალხმა გადაწყვიტა (იცინის). ბათუმში სამუშაოდ რომ ჩამოვედი, მაშინ სუში და ზოგადად, აზიური სამზარეულო არ იყო ისეთი პოპულარული, როგორც სხვა ქვეყნების. სუშის ძველი ტრადიციული მომზადების ტექნიკა ვიცოდი, რაც საქართველოში კარგად გამოვიყენე. თანდათან ჩემს სუშის ხალხის მხრიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვა, რამაც ძალიან გამახარა. სწორედ ამის შემდეგ გადავწყვიტე, მხოლოდ სუშის კუთხით მემუშავა და ჩემი შესაძლებლობები წარმომეჩინა.

**- როგორ შეისწავლეთ სუშის მომზადების ტრადიციული მეთოდები?**

- სუშის შესწავლა მიშლენის ვარსკვლავის მქონე შეფთან დავიწყე. მაშინ დავინახე მისი გულმოდგინება და სიყვარული ამ კერძისადმი. მან შემასწავლა და მაჩვენა, როგორი იყო სუშის მომზადების უნიკალური ტექნიკა და, რაც მთავარია, როგორი სიამოვნება უნდა მიმეღო ამ პროცესიდან. დღეს ზუსტად ისე, ერთი-ერთში ვამზადებ და ვგრძნობ, როგორ სიამოვნებას ვიღებ სუშის მომზადებით.

**- გაქვთ თუ არა საკუთარი ხელწერა სუშის მომზადებისას? რას გამოარჩევდით?**

- დიახ, ვფიქრობ, მაქვს. ალბათ იმას გამოვარჩევდი, რომ ძალიან მსუბუქად ვამზადებ. ასეთი ტექნიკით მომზადებული სუში ჭამის დროს დნება და არ არის ხორცივით საღეჭი.

**- რა იყო მთავარი მოტივაცია, რომ საკუთარი სუში-ბარი გაგეხსნათ?**

- ყველა შეფმზარეულს აქვს ოცნება, ჰქონდეს საკუთარი რესტორანი. არც მე ვიყავი გამონაკლისი. ბათუმში ერთ-ერთი რესტორნის თანამფლობელი კი ვიყავი, მაგრამ გადავწყვიტე, გამეხსნა საკუთარი რესტორანი, სადაც შესაძლებლობა მექნებოდა, ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე, თავი მაქსიმალურად წარმომეჩინა, შემექმნა ისეთი გემო, რომელიც ჩემი ხელწერა იქნებოდა და ვფიქრობ, გამომივიდა. ვინც ჩემს კერძს გასინჯავს, დარწმუნებული ვარ, აუცილებლად მოიწონებს.

**- განსაკუთრებულს რას სთავაზობთ სტუმრებს?**

- ძალიან ბევრ რამეს - როგორც ძველ ტრადიციულ სუშის, ასევე, თანამედროვე ტექნიკით დამზადებულს. ვთავაზობთ ჩემს საავტორო კერძებს და ასევე, სრულიად ახალ და ჯანსაღ სამზარეულოს. რაც მთავარია, ისეთ მომსახურებას, რომელიც სტუმარს საკუთარ სახლში აგრძნობინებს თავს.

**- რამდენად რთულია მზარეულის როლიდან მენეჯერის როლზე გადასვლა?**

- თავიდან ეს შოკისმომგვრელი იყო, სრული ქაოსი, მაგრამ, ამავდროულად, ახალი შემართება, ახალი სფერო. ვიცოდი, რომ ყველანაირი გამოცდილება უნდა შემეძინა. მცოდნოდა მენეჯერის მოვალეობები როგორც ობიექტზე, ისე სამზარეულოში. ფაქტობრივად, სხვა თვალით ხედავ ყველაფერს, სხვანაირად გიწევს გადაწყვეტილების მიღება, პერსონალის არჩევა, მათთან ურთიერთობა. ამავდროულად, უამრავ საბუთთან გაქვს შეხება და რაც მთავარია, შეფმზარეულთან ერთად იღებ სამზარეულოს მიმართულებით გადაწყვეტილებას. ასევე, გაქვს უამრავი საქმე, რესტორნის სფეროში ყველაფერი გამართული რომ იყოს. სუში-ბარის გარდა, ბათუმში ერთ-ერთი საშაურმის თანამფლობელიც ვარ, სადაც შაურმის გარდა, შემწვარი ქათმები, კანჭი და მსგავსი კერძები გვაქვს.

**- რა სირთულეებს გადააწყდით რესტორნის გახსნისას და როგორ გადალახეთ ისინი?**

- ბევრ რამეს ვერ ჩამოვთვლი, მაგრამ რასაც გამოვყოფ, ეს არის შეფმზარეულობიდან ბიზნესის მმართველობაზე გადასვლის ეტაპი, რაშიც ცოდნა და ამავდროულად, იღბალი გჭირდება. სირთულე იყო ის, რომ არ ვიცოდი, როგორ მემართა ეს ყველაფერი და თანაც სამზარეულოც გამემართა, მაგრამ ბევრი შრომის შედეგად, საბოლოოდ, ყველაფერი გამომივიდა. მიხარია, რომ შევძელი და დღეს ჩემს საყვარელ სფეროს ვემსახურები.

**- როგორ იღებს ქართველი მომხმარებელი სუშის კულტურას?**

- არის კატეგორია, რომელიც უცებ იღებს მას და მეტსაც ვიტყვი, უყვარდება, მაგრამ იმ კატეგორიასთან, რომელსაც სუში უმი თევზი ჰგონია, საერთო ენის გამონახვა რთულია. არსებობს საფეხურები აზიურ სამზარეულოში, რომლის გადალახვის შემდეგ, ავტომატურად, ამ სამზარეულოს მოყვარული ხდები.

**- აპირებთ თუ არა ქართული ინგრედიენტების გამოყენებას ტრადიციულ იაპონურ კერძებში?**

> ***„სხვადასხვა ქვეყნის კულინარიას ვიცნობ. შეფმზარეულად ევროპულ, ქართულ, ფრანგულ და იტალიურ სამზარეულოებში ვმუშაობდი, თუმცა კიდევ უფრო მეტი ქვეყნის სამზარეულოს შესწავლა მინდა და მათი სარესტორნო სფეროში გამოყენება. ახლა მიზნად მაქვს ინდური სამზარეულოს შესწავლა, რადგან ძალიან ბევრი სანელებელი აქვთ და მათი გამოყენება საავტორო კერძებშიც შეიძლება, ჩემეული ვერსიით***

- რა თქმა უნდა, ახლაც ვიყენებ და მინდა გითხრათ, შეუდარებელი გამოდის. ვთვლი, რომ რაღაც მსგავსება არის ქართულ და აზიურ სამზარეულოებში და როდესაც მათ ვაერთიანებ, განსაკუთრებული გემოები იგრძნობა.

**- გყავთ თუ არა კულინარიული კერპი ან ადამიანი, რომელიც გაძლიერებთ პროფესიულად, ან გიბიძგებთ ინოვაციებისკენ?**

- ცხადია, როგორც ყველას, ასევე, მეც მყავს ის ადამიანი, კერპი, რომელიც სტიმულს მაძლევს, არასდროს დავნებდე და უფრო მეტი ვაკეთო. ეს ადამიანი ბრენდშეფი გორდონ რემზია.

**- გეგმავთ თუ არა სუშის მიღმა სხვა კულინარიული მიმართულებების შესწავლას ან საქმიანობის გაფართოებას?**

- ასე თუ ისე, სხვადასხვა ქვეყნის კულინარიას ვიცნობ. შეფმზარეულად ევროპულ, ქართულ, ფრანგულ და იტალიურ სამზარეულოებში ვმუშაობდი, თუმცა კიდევ უფრო მეტი ქვეყნის სამზარეულოს შესწავლა მინდა და მათი სარესტორნო სფეროში გამოყენება. ახლა მიზნად მაქვს ინდური სამზარეულოს შესწავლა, რადგან ძალიან ბევრი სანელებელი აქვთ და მათი გამოყენება საავტორო კერძებშიც შეიძლება, ჩემეული ვერსიით. ვფიქრობ, სრულყოფილად შევისწავლო ინდური სამზარეულო და მათი სანელებლები ჩვენს სამზარეულოში გამოვიყენო.

**- რას ურჩევდით ახალგაზრდა მზარეულებს, რომლებიც ახლა იწყებენ კარიერას?**

- არ დანებდნენ! კულინარიულ გზაზე ბევრი სირთულე დახვდებათ და სწორედ ამ სირთულეების დაძლევის და გადალახვის შემდეგ გახდებიან ნამდვილი შეფები!

**მარიამ ხითარიშვილი**

# მაია ხაჯიშვილი: საქართველო ყოველთვის იქნება ერასმუსის პროგრამის ძლიერი პარტნიორი

პირველი გვერდიდან

- დიდი პატივია ასეთი ღონისძიების მასპინძლობა. დარწმუნებული ვარ, ჩვენი პარტნიორობა გაგრძელდება და უფრო მეტად გაღრმავდება. ამის საფუძველს მაძლევს ის, რომ ჩვენს უნივერსიტეტში უწყვეტად არის ის გაცვლითი პროგრამები, რომლებიც ემსახურება როგორც სტუდენტების სხვადასხვა უნივერსიტეტში მივლინებას, ასევე, აკადემიური პერსონალის სხვადასხვა რეიტინგულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობას. გამოვიარეთ პერიოდი, როდესაც ოცნებაც კი ზედმეტი იყო იმაზე, რომ ჩვენს სტუდენტებს ან აკადემიურ პერსონალს მონაწილეობა მიეღო რომელიმე გაცვლით პროგრამაში. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენთვის ყველა კარი ღიაა. შესაბამისად, ეს შესაძლებლობები უნდა გამოვიყენოთ და მიღებული გამოცდილება მაქსიმალურად მოვარგოთ ჩვენს ყოფიერებას და საუნივერსიტეტო ცხოვრებას, - აღნიშნა ტიტე არაშიძემ.

მსგავსი ღონისძიებებისა და ევროპული გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობაზე ისაუბრა აჭარის განათლებისა და სპორტის მინისტრმა მაია ხაჯიშვილმა.

- ერასმუსის პროგრამასთან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძლიერი პარტნიორობა ნიშნავს, რომ ევროპულ უნივერსიტეტებთან კომუნიკაცია მისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც ბსუ-ის ყველა პროგრამაში ჩანს. არ არსებობს უნივერსიტეტის არცერთი საფეხურის პროგრამა, იქნება ეს საბაკალავრო, სამაგისტრო თუ სადოქტორო, სადაც განსაკუთრებული ადგილი არ უჭირავს როგორც სტუდენტების, ასევე, აკადემიური პერსონალის გაცვლით პროექტებს. ეს არის ხაზგასმა იმისა, თუ როგორ ხედავს ჩვენი რეგიონი, ქვეყანა ახალგაზრდების მომავალს. მთავრობა, სამინისტრო მომავალშიც გააგრძელებს უნივერსიტეტის მხარდაჭერას ურთიერთობების კიდევ უფრო გასაღრმავებლად, - აღნიშნა მინისტრმა. მან მადლობა გადაუხადა როგორც უნივერსიტეტის ყოფილ, ისე, ამჟამინდელ რექტორებს, მთელ გუნდს, თავდაუზოგავი საქმიანობისთვის, თანამშრომლობის საერთაშორისო სპექტრის კიდევ უფრო გაშლისთვის და ხაზი გაუსვა, რომ „საქართველო ყოველთვის იქნება ერასმუსის პროგრამის ძლიერი პარტნიორი“.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს მადლობა გადაუხადა ჰელენიკის (საბერძნეთი) ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ევანგელია მენეგატიმ, რომლის თქმითაც, აუცილებელია სამომავლოდ დაიგეგმოს ერთობლივი პროგრამები, რომლებიც არაერთი მიმართულებით მნიშვნელოვან როლს შეასრულებს უნივერსიტეტებს შორის ურთიერთობების გაღრმავებაში.

- პასუხისმგებელი ვარ ერასმუსის გაცვლით პროგრამაში ჩართული სტუდენტებისა და პერსონალის მობილობაზე, ვმუშაობ საერთაშორისო ოფისში. მოხარული ვარ, რომ დავესწარი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მეექვსე საერთაშორისო კვირეულს. ერასმუსის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ყოველ წელს ბსუ-დან ვმასპინძლობთ სტუდენტებს. თქვენს უნივერსიტეტთან სამომავლოდ ძალიან ბევრი გეგმა გვაქვს. ვფიქრობთ, პირველ რიგში, დავგეგმოთ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც სამომავლოდ აუცილებლად განვახორციელებთ, - აღნიშნა ევანგელია მენეგატიმ.

**ნანა აბულაძე**

# პედოფილია – ტაბუირებული რეალობა, რომელზეც უნდა ვისაუბროთ

***ბოლო 15 თვეში საქართველოში 229 ბავშვი გახდა სქესობრივი დანაშაულის მსხვერპლი, მათგან 43 გააუპატიურეს, 6 - მხოლოდ აპრილში. ეს პროკურატურის ოფიციალური მონაცემებია, თუმცა ბავშვების მიმართ ჩადენილი სექსუალური ძალადობის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. ამას თავისი მიზეზი აქვს. ამ დანაშაულს ახასიათებს განსაკუთრებული ფარულობა და გამოვლენის სირთულე, ამიტომაც ოფიციალური სტატისტიკის მიღმა ძალადობის შემთხვევების რიცხვიც გაცილებით მაღალი უნდა იყოს***

პედოფილია ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და კომპლექსური საკითხია თანამედროვე საზოგადოებაში. ეს არ არის მხოლოდ ფსიქიკური აშლილობის ან სამართლებრივი დარღვევის თემა, ეს არის ბავშვების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე შეტევა. საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ეს თემა ხშირად ტაბუდადებულია, რასაც კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ვერ ხერხდება მისი დროულად აღმოჩენა და პრევენცია. ბავშვები, რომლებიც პედოფილების ან, ზოგადად, სექსუალური შევიწროების მსხვერპლნი ხდებიან, იშვიათად ლაპარაკობენ საკუთარ განცდებზე. ეს ქმნის სერიოზულ რისკს მათი ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობისთვის.

სტატიის მიზანია მშობლებს, პედაგოგებსა და საზოგადოებას მივაწოდოთ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ამოიცნონ პრობლემის ნიშნები, როგორ იმოქმედონ და როგორ დაეხმარონ ბავშვს, რომელიც სექსუალური ძალადობის ან გარყვნილი ქმედების მსხვერპლია.

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ: პედოფილიური მიზიდულობა - შესაძლოა პიროვნებას ჰქონდეს მიზიდულობა, თუმცა არასდროს განახორციელოს ქმედება; პედოფილიური ქმედება - ეს უკვე სექსუალური ძალადობის ან გარყვნილი ქმედების ფორმაა, რაც ბავშვის ნების წინააღმდეგ ხდება. ბავშვები პედოფილებისთვის უმწეო, ნდობით სავსე და იოლი სამიზნეები არიან. ხშირად მოძალადე ბავშვისთვის ნაცნობი ადამიანია, იგი შესაძლოა იყოს ოჯახის წევრი, მეზობელი, მასწავლებელი, მწვრთნელი ან მეგობარი. ასეთ შემთხვევებში ბავშვი შეიძლება ვერც კი აცნობიერებდეს, რომ მის მიმართ ძალადობა ან შეუსაბამო ქმედება განხორციელდა. ძალადობა შეიძლება გამოიხატოს: ფიზიკური შეხებით (დაბრკოლების გარეშე ან ძალადობით), სიტყვიერად (სექსუალური ხასიათის კომენტარები), ინტერნეტით (ონლაინ გარყვნილი კომუნიკაცია, ფოტოები, ვიდეოები), ფსიქოლოგიური მანიპულაციით (საშიში საიდუმლოების შენახვა, შანტაჟი, საჩუქრებით მოტყუება და ა.შ.)

ფსიქოლოგი ქეთევან დევაძე ჩვენთან საუბარში ამბობს, რომ ბავშვისთვის სექსუალური ძალადობის ტრავმა ძალიან კომპლექსურია. სექსუალური ძალადობა არღვევს მის უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდას, ნდობას და ა.შ. შესაბამისად, ბავშვი სხვადასხვანაირად გამოხატავს და რეაგირებს მსგავს ტრავმულ გამოცდილებაზე. უმეტესად, პატარები ასეთ გამოცდილებას ჩაკეტილობით პასუხობენ, რადგან მათ გადახდათ რაღაც ისეთი, რომელზეც ჩვეულებრივ არავინ საუბრობს, რომელსაც ვერ ხედავს და ეს თითქოს ტაბუდადებულია, რადგან მასზე არაფერი სმენია. ჭგონია, მისთვის ასეთ საკითხებზე საუბარი არ შეიძლება, უზრდელობაა, უხერხულია, მიუღებელია... ამ გამოცდილებაში ბავშვი სრულიად მარტო რჩება, ხშირად ძალიან დიდხანს ან სამუდამოდ მალავს ასეთ ტრავმულ შემთხვევებს.

მშობლებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ქცევითი ნიშნების შემდეგ ცვლილებებს: შფოთვა, გაღიზიანება, აგრესიულობა ან უკიდურესი სიჩუმე; დაქვეითებული ინტერესები თამაშის ან მეგობრების მიმართ; ძილის ან კვების დარღვევა; გაუცხოება კონკრეტულ ადამიანებთან ურთიერთობისას.

- ბავშვი ასეთ დროს ხშირად იკეტება საკუთარ თავში, შესაძლოა ოთახიდან არ გამოდიოდეს, აღარავის ეკონტაქტებოდეს, ასევე, დამახასიათებელია სხვადასხვა დეპრესიის სიმპტომატიკა - მადის, ძილის დარღვევები, ხშირია კოშმარები, შესაძლოა შევამჩნიოთ, რომ ძალიან გადამეტებულად იცავს ჰიგიენას, მუდმივად იბანს, ან, პირიქით, საერთოდ უარს ამბობს ჰიგიენის დაცვაზე. შესაძლოა ასაკობრივად შეუფერებელი საქციელი გამოვლინდეს, ლაპარაკისას ძალიან ახლო კონტაქტს ამყარებდეს, სხეულებრივ საზღვარს ვეღარ იცავდეს იმიტომ, რომ ვიღაც გარე პირმა სექსუალური ძალადობის დროს ეს საზღვრები დაარღვია, - ამბობს ქეთევან დევაძე. მისივე თქმით, ასეთ შემთხვევებში მშობლის რეაქცია კრიტიკულია ბავშვის შემდგომი ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, არ გამოავლინოს პანიკა - ბავშვს სჭირდება სიმშვიდე და სტაბილურობა; მშობელმა უნდა გაამხნევოს - უთხრას, რომ ის არ არის დამნაშავე და ყველაფერი სწორად გაკეთა, რომ ამაზე ილაპარაკა (ან თუნდაც მინიშნება მისცა); მოუსმინოს შინაარსის დეტალიზაციის გარეშე - არ აიძულოს ბავშვი, უამბოს ყოველი წვრილმანი, ეს ფსიქოლოგისთვის უნდა დარჩეს; დაუყოვნებლივ მიმართოს სამართალდამცავებს და ბავშვთა ფსიქოლოგს.

ბავშვთან კომუნიკაცია უნდა იყოს ასაკთან შესაბამისი, თანმიმდევრული და მჭიდროდ დაკავშირებული პირადი საზღვრების გაგებასთან.

მათ უნდა ვასწავლოთ, რომ სხეული მათი საკუთრებაა და „არას“ თქმა ნებისმიერ ზრდასრულთან შეიძლება; უნდა გავაფრთხილოთ, რომ ნებისმიერ შეხებაზე, რომელიც მათ არ მოსწონთ, უფლება აქვთ უარი განუცხადონ და თქვან ამაზე; უნდა დავამყაროთ ნდობა, ვუთხრათ, რომ ნებისმიერ თემაზე შეუძლიათ ისაუბრონ.

როგორც ფსიქოლოგი ამბობს, ასეთ დროს უმნიშვნელოვანესია მშობლის, მასწავლებლისა თუ აღმზრდელის როლი. ბავშვები მალავენ ამ ინფორმაციას იმიტომ, რომ უმეტესად არ იციან, ვის უნდა მიმართონ. არ იციან, რომ ამ თემაზე საუბარი ნებადართულია. ხშირად მშობლები, მასწავლებლები და აღმზრდელები შენიშვნასაც აძლევენ და უკრძალავენ კიდეც სექსუალური ხასიათის თემაზე საუბარს. არის შემთხვევები, როცა ბავშვმა სასქესო ორგანოების სახელებიც კი არ იცის. იცის, რომ ამაზე საუბარი მიუღებელია, შესაბამისად, თუ მშობელს მიმართავს, არ იცის, მას როგორი რეაქცია ექნება. ხომ არ დასჯიან? მას ხომ არ დააბრალებენ რამეს? რადგან ასეთ დროს ძალიან მაღალია ბრალეულობის განცდაც.

- ძალიან მნიშვნელოვანია, ყველაფერი გააკეთო მშობელმა იმისთვის, რომ ბავშვმა კომფორტულად იგრძნოს თავი ნებისმიერი ინფორმაციის გაზიარებისას. მნიშვნელოვანია, არ დავუსვათ კითხვები: რატომ არ შეეწინააღმდეგე? რატომ აქამდე არ მითხარი? რათა მისი ბრალეულობა არ დავამძიმოთ, - აღნიშნავს ფსიქოლოგი და დასძენს, - მნიშვნელოვანია, ბავშვი მოძალადესთან ურთიერთობაში აღარასდროს შევიდეს - ეს შეცდომა ხშირად ხდება, თუ მოძალადე ოჯახის წევრია.

- მნიშვნელოვანია, ბავშმა საუბრის დროს თავი დაცულად იგრძნოს, მიხვდეს, რომ საფრთხე აღარ ემუქრება, რომ მას არაფერს დააბრალებენ, მისი ესმით და ყველაფერს გააკეთებენ მის დასაცავად. ასევე, როდესაც ხდება სექსუალური ძალადობა ბავშვის მიმართ, მნიშვნელოვანია იგი დავიცვათ ტრავმის ხელახალი განმეორებისგან. ბავშვი უნდა იყოს უსაფრთხო გარემოში და მასთან მოძალადეს კონტაქტი აღარ უნდა ჰქონდეს. ასევე, ბავშვს არ უნდა მოუწიოს ამ თემაზე განმეორებით საუბარი. ძალიან ხშირად, როდესაც ბავშვი ჩვენებას აძლევს, ამ ამბავს ჯერ მშობელთან ყვება, შემდეგ სხვა ადამიანთან, პოლიციის განყოფილებაშიც და სასამართლოშიც. ამ ინფორმაციის ხელახლა გახსენებით მისი ხელახალი ტრავმირების რისკი ჩნდება. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენი კანონმდებლობა ამას არეგულირებდეს და გვაძლევდეს საშუალებას, რომ ბავშვი გამოიკითხოს მხოლოდ ერთხელ. ცხადია, სასურველია ასეთი რამის შემდეგ ბავშვთან იმუშაოს ფსიქოთერაპევტმა, - ამბობს ქეთევან დევაძე.

პედოფილიასთან ბრძოლის მთავარი გზა პრევენცია, განათლება და სისტემური რეაგირებაა. ბავშვს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი სხეულის, პირადი სივრცისა და უფლებების შესახებ; მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა - ფსიქოლოგების ხელმისაწვდომობა სკოლებსა და პედაგოგიურ გარემოში; აუცილებელია მშობლებს ჰქონდეთ პრაქტიკული ცოდნა პრობლემის ამოცნობისა და მართვისთვის; აუცილებელია მკაცრი კანონი და მართლმსაჯულება - პედოფილთა მიმართ ლმობიერი დამოკიდებულება საფრთხის წყაროა; ინტერნეტუსაფრთხოება - მშობლები უნდა იყვნენ ჩართულნი ციფრულ ცხოვრებაში, იცოდნენ, როგორ და ვისთან ურთიერთობენ ბავშვები ონლაინსივრცეში.

პედოფილია არ არის საკითხი, რომელიც მხოლოდ „სხვებთან“ ხდება. ის რეალობაა, რომელიც ნებისმიერ ოჯახში შეიძლება გაჩნდეს, თუ არ ვსაუბრობთ, არ ვუსმენთ და არ ვამჩნევთ. ბავშვის უსაფრთხოება იწყება სახლში - ნდობით, განათლებითა და სიყვარულით, რაზეც თითოეულმა მშობელმა, მასწავლებელმა თუ მოქალაქემ საკუთარი წილი პასუხისმგებლობა უნდა აიღოს.

# პირველი საერთაშორისო საზაფხულო კონფერენცია – ბათუმში

***ბათუმმა რეგიონული თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით პირველ საერთაშორისო საზაფხულო კონფერენციას უმასპინძლა. ა(ა)იპ „ახალგაზრდული უმაღლესი საბჭო“ და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, ორგანიზებას უწევენ პირველ საერთაშორისო საზაფხულო კონფერენციას თემაზე - „ახალი ჰორიზონტები: რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება აღმოსავლეთ პარტნიორობის, სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებს შორის“***

ღონისძიება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 8 ივნისს გაიხსნა და 12 ივნისის ჩათვლით გაგრძელდა. იგი მიზნად ისახავს დარგის ექსპერტებს, ახალგაზრდა ლიდერებს, პროფესორ-მასწავლებლებს და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შორის ინკლუზიური დიალოგისა და სტრატეგიული თანამშრომლობის გაღრმავებას.

საერთაშორისო და ადგილობრივმა მონაწილეები ჩაერთნენ ინტერაქტიულ პანელურ დისკუსიებში, ექსპერტების მიერ მოდელირებულ თემატურ სამუშაო შეხვედრებსა და კულტურულ ღონისძიებებში, რომლებიც ხელს შეუწყობს საერთო რეგიონული გამოწვევების ინოვაციური გზებით გადაჭრისა და საერთაშორისო კავშირების გაძლიერების პროცესს. ღონისძიება უნიკალური პლატფორმაა რეგიონთაშორისი თანამშრომლობის ახალ ეტაპზე გადასასვლელად, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც გლობალური და რეგიონული გამოწვევები კიდევ უფრო მეტ ერთობასა და ინოვაციურ მიდგომებს მოითხოვს.

- საფუძველი ჩაეყარა პირველ საზაფხულო კონფერენციას და ეს არის „ახალი ჰორიზონტები“ ანუ ურთიერთობები ევროპასა და აზიას შორის. როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, მკვეთრად არის გაზრდილი ჩვენი როლი რეგიონში, შესაბამისად, ჩვენს უნივერსიტეტში მსგავსი კონფერენციების ჩატარება არის ძალიან მნიშვნელოვანი არა მხოლოდ აკადემიური პირებისათვის, არამედ სტუდენტებისთვისაც, ეს გვეხმარება, გავცვალოთ ინფორმაციები, ჩვენი პრაქტიკული და თეორიული ცოდნა და შესაბამისად, ჩამოვაყალიბოთ ერთი საერთო მიზანი რეგიონში. ვიმედოვნებ, რომ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, გაგრძელდება, მსგავსი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და შევხვდებით გარემოში, სადაც გვექნება აკადემიურ სივრცეში ერთმანეთთან დისკუსიის, აზრის გაცვლის შესაძლებლობა. დღეს კონფერენციის მონაწილეები წარმოდგენილი იყვნენ რამდენიმე ქვეყნიდან, რაც, შესაბამისად, კიდევ უფრო ზრდის ამ კონფერენციის მნიშვნელობას, - გვითხრა ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ, ბიზნესადმინისტრირების დოქტორმა თამთა ვარშანიძემ.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაახლოებით 10 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელს უმასპინძლა. შეხვედრა აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. გვყავდა მოწვეული სტუმრები დიდი ბრიტანეთიდან, სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან, ცენტრალური აზიისა და აღმოსავლეთის პარტნიორი ქვეყნებიდან. მნიშვნელოვანია ის საკითხები, რა თემებიც იყო უშუალოდ სპიკერებისგან წარმოდგენილი. ეს არის განათლების მიმართულება, ახალგაზრდული პოლიტიკა, განახლებადი ენერგია, მდგრადი განვითარება და, რაც მთავარია, უსაფრთხოების საკითხები. ვფიქრობ, დღევანდელ მსოფლიოში მნიშვნელოვანია დიალოგის არსებობა, რადგან სწორედ მისი ნაკლებობაა ის მთავარი პრობლემა, რაც ზოგადად საზოგადოებაში არსებობს. შესაბამისად, ის საკითხები, რაც განვიხილეთ, არის გრძელვადიან პერსპექტივაზე მორგებული. დღეს დაიგეგმება თანამშრომლობა და ხვალ გაგრძელდება კონკრეტული შედეგებით, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, - გვითხრა კონფერენციის იდეის ავტორმა, ბსუ-ის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორმა გიგა ფარტენაძემ.

- ამ კონფერენციამდე, ბატონ გიგა ფარტენაძეს, წელს, სხვა წევრებთან ერთად, „ჯონ სმიტ თრასთ“-ის პროგრამის ფარგლებში შევხვდით. მაშინვე მივხვდით, რომ ეს ურთიერთობა აუცილებლად უნდა გაგვეგრძელებინა. გიგამ გადაწყვიტა, ორგანიზება გაეწია საერთაშორისო კონფერენციისთვის, რათა კიდევ ერთხელ შევხვედროდით ერთმანეთს, გველაპარაკა სხვადასხვა საკითხზე და გვემსჯელა, როგორი თანამშრომლობა შეგვიძლია ქვეყნებს შორის. საკმაოდ საინტერესო საკითხები განვიხილეთ. ჩვენ ეკონომიკის, ენერგეტიკის, ფინანსური კუთხით ვისაუბრეთ. დარწმუნებული ვარ, ეს თანამშრომლობა მეტად დაგვაახლოებს ერთმანეთს, - გვითხრა აზერბაიჯანის ცენტრალური ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა გიულარ პაშაევამ.

**გვერდი მოამზადა**
**მარიამ ხითარიშვილმა**

# „კვალი“ – ახალი ფესტივალი საავტორო მუსიკის პოპულარიზაციისათვის

***ბათუმს ახალი, საავტორო მუსიკის ფესტივალი „კვალი“ შეემატა, რომელიც ადგილობრივ არტისტებს საშუალებას მისცემს, თავიანთი შემოქმედება ფართო აუდიტორიის წინაშე წარმოაჩინონ***

*ფესტივალის მიზანია მაღალი ხარისხის მუსიკალური კონცერტების ორგანიზება, ადგილობრივი ხელოვანებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა, მუსიკის მოყვარულთათვის განსხვავებული ჟანრისა და სტილის მუსიკის შეთავაზება.*

*6 ივლისს, საღამოს შვიდი საათიდან, „რვაფეხასთან“ გელოდებათ გემოვნებიანი მუსიკა და მუსიკოსთა ჯგუფები: ქრაში, Catfish-I, lio with ila* და *Bek bekson*-ი, *ასევე dj ჩიკი, ლათინო მოცეკვავეები - ბავშვთა გუნდი ომარ ყურავას ხელმძღვანელობით და მხატვარი იოსებ ჯორბენაძე, რომელიც ლაივში დახატავს.*

*ფესტივალის შესახებ „ბათუმი ნექსუსის“ დირექტორი, ფესტივალის დამფუძნებელი, მუსიკოსი* ***ნიკო ბერიძე*** *გვესაუბრა.*

- აჭარის რეგიონი გამოირჩევა თავისი მუსიკალურობითა და შემოქმედებითი მრავალფეროვნებით. ჩვენი ქალაქი განებივრებულია სხვადასხვა ფესტივალითა და კულტურული აქტივობით, თუმცა დღესდღეობით არა მხოლოდ აჭარაში, არამედ, ზოგადად, ქართულ ბაზარზე, დამკვეთების მოთხოვნაა მხოლოდ ჰიტებისა და ე.წ. ქავერ ვერსიების შესრულება, რის გამოც მუსიკოსები ვერ ახერხებენ საკუთარი შემოქმედების წარმოჩენას. ამიტომაც გადავწყვიტეთ, შეგვექმნა მუსიკალური პროექტი, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივ არტისტებს, წარმოაჩინონ თავიანთი შემოქმედება და ის ინდივიდუალური ხელწერა, რაც საავტორო მუსიკას გააჩნია. ფესტივალი ორიენტირებულია მუსიკალურ ექსპერიმენტებზე, ინოვაციურ ყღერადობებსა და საავტორო შემოქმედების ხელშეწყობაზე. აღნიშნული პროექტის უნიკალურობა ისაა, რომ თითოეული არტისტი შეასრულებს არა მხოლოდ უცხოენოვან, არამედ ქართულ ენაზე შექმნილ სიმღერებსაც. შესაბამისად, გარდა საავტორო მუსიკისა, ხელს შევუწყობთ ქართული სიმღერის პოპულარიზებას, ამასთანავე, გაყღერდება ელექტრონული მუსიკა, რომელიც დატვირთული იქნება ქალაქ ბათუმთან ასოცირებული ხმებითა და ყღერადობით.

ფესტივალის მთავარი მიზანი საავტორო მუსიკის მასობრივად გარდაქმნა, ადგილობრივი მუსიკოსების, ბენდების მოტივირება, მხარდაჭერა და მათი ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა, რეგიონში კულტურული ცხოვრების უფრო მეტად გამრავალფეროვნება და აჭარის, როგორც კულტურული ჰაბის, კიდევ უფრო გამოკვეთა, ხელოვნებისა და მუსიკის საშუალებით სოციალური და კულტურული ინტეგრაციის გაძლიერებაა.

პროგრამა მოიცავს სხვადასხვა მუსიკალურ ჟანრს, რომელიც დააკმაყოფილებს ყველანაირი მუსიკალური გემოვნების მქონე მსმენელს და რომელშიც ჩართული იქნებიან როგორც ბენდები, ასევე, ინდივიდუალური შემსრულებლებიც. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდება ცოცხალი კონცერტი, არტგამოფენები (ადგილობრივი ახალგაზრდა მხატვრების, მოქანდაკეების, ფოტოგრაფების ექსპოზიციები, პერფორმანსები), შეიქმნება მოსასვენებელი სივრცეები, წარმოდგენილი იქნება ქართული სამზარეულო. ფესტივალი დაგეგმილია ღია ცის ქვეშ, ბათუმის ბულვარში, სადაც დასწრება თავისუფალია. შესაბამისად, იქნება ადგილობრივი მოსახლეობისა და ვიზიტიორების მაქსიმალური ჩართულობა, რაც ფესტივალს მრავალფეროვნებასა და ინტერაქტიულობას შესძენს. ჩატარდება გათამაშებები, რომლებიც შეესაბამება ფესტივალის თემატიკას - გვითხრა ნიკო ბერიძემ.

# ყოველწლიური ანგარიში – საზოგადოებას

***ბათუმის საზაფხულო თეატრში აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლა 2024-2025 სასწავლო წლის საანგარიშო კონცერტით წარსდგა. მსგავსი ღონისძიება 2020 წლიდან ტარდება და მისი მიზანი სასწავლო შემოქმედებითი პროცესის თავმოყრა და ფართო აუდიტორიისთვის გაცნობაა***

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ხალხური მუსიკისა და ქორეოგრაფიული განყოფილებების პირველი და მეორე კურსის, ასევე, ტრადიციული რეწვის განყოფილების მოსწავლეებმა, პროფესიული მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების: „ფოტოგრაფია“, „ქართული ეროვნული სამოსი და მისი სასცენო გადაწყვეტა“, „ქორეოგრაფიული ანსამბლის მოცეკვავე-მსახიობი“ და „ფოლკლორულ-ინსტრუმენტული ანსამბლის აკომპანიატორ-მსახიობი“ კურსდამთავრებულებმა.

საღამოზე წარმოდგენილი იყო: ქართული ხალხური, თანამედროვე, სამეჯლისო და მსოფლიო ხალხთა ცეკვები, ქართული ხალხური და ქალაქური სიმღერები.

კონცერტის პარალელურად, თეატრის ფოიეში გამოიფინა ტრადიციული რეწვის მოსწავლეების ნაქარგობები, ნაქსოვები და ხელნაკეთი ნივთები. კურსდამთავრებულების მიერ შექმნილი ეროვნული სამოსი, ასევე, ფოტონამუშევრები.

ღონისძიებას აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე ზაურ ახვლედიანი, კულტურის დეპარტამენტის უფროსი ნათია ბლაგიძე, სამინისტროს სხვა წარმომადგენლები, ხალხური ხელოვნების სკოლის დირექტორი ვახტანგ ბერიძე და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

- ტრადიციად დავამკვიდრეთ საანგარიშო კონცერტის ჩატარება, რაც მთელი წლის საქმიანობის ერთგვარი შეჯამებაა. ახალგაზრდებს სწავლის პროცესშივე ეძლევათ მაყურებელთან შეხვედრის საშუალება. ხელოვანს განათლებასთან, ნიჭთან და შრომისმოყვარეობასთან ერთად, აყალიბებს მაყურებელი, ცოცხალი ემოციები. მინდა აღვნიშნო, რომ ეს არ არის ერთადერთი აქტივობა, რომელსაც ვატარებთ წლის განმავლობაში. ჩვენი მოსწავლეები განებივრებულები არიან ხელოვნების სხვადასხვა დარგის სპეციალისტებთან შეხვედრებით, საჯარო ლექციებით, პოეზიის საღამოებით, მასტერკლასებით. ყოველმხრივ ვცდილობთ, რომ მათ ბევრი საჭირო ინფორმაცია მივაწოდოთ. სკოლამ ბოლო ექვსი წლის განმავლობაში არაერთ მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. განახლდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეიცვალა სასწავლო პროგრამები, მოვიპოვეთ ათი პროფესიულ მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება. იზრდება კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა აჭარის აკადემიურ და მუნიციპალურ ანსამბლებში, კულტურის ცენტრებში, სკოლებში, ბაღებში. სკოლაში მომართვიანობა გაიზარდა გურიის, სამეგრელოს რეგიონებიდან. ჩვენი ერთი კურსდამთავრებული დასაქმდა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასში... ყოველივე ეს არა მარტო ჩვენი სკოლის, არამედ რეგიონის წარმატებად მიმაჩნია. აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლის მისიაა, განათლების მეშვეობით, არამატერიალური კულტურის ძეგლის - ქართული ფოლკლორის დაცვა, განვითარების ხელშეწყობა, რასაც ის ზედმიწევნით ასრულებს - აღნიშნა ვახტანგ ბერიძემ.

***ცნობისთვის:*** *დაინტერესებულ პირებს, აჭარის ხალხური ხელოვნების სკოლაში სამ სასკოლო გრძელვადიან და ათ მოკლევადიან მომზადება/გადამზადების პროგრამაზე უფასოდ შეუძლიათ სწავლა. სკოლაში 2025-2026 სასწავლო წლისთვის მიღება 20 ივნისამდე გრძელდება.*

# მუზეუმში ამირან კახიძისადმი მიძღვნილი სალამო გაიმართა

***ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მუზეუმში ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დამაარსებელი, მსოფლიო მასშტაბით აღიარებული არქეოლოგი, ისტორიის დოქტორი, ბსუ-ის პროფესორ ემერიტუსი ამირან კახიძე გაიხსენეს, რომელსაც დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდებოდა***

შეხვედრაზე აჭარის სამუზეუმო გაერთიანების დირექტორმა თეონა ზოიძემ ამირან კახიძის სამეცნიერო მოღვაწეობაზე, მიღწევებზე, პედაგოგიურ საქმიანობასა და მის განვლილ ცხოვრებაზე ისაუბრა

- შეგვიძლია ძალიან ბევრი რამ ვთქვათ ბატონ ამირანზე, როგორც არქეოლოგიის ფუძემდებელზე საქართველოში, არქეოლოგიური მუზეუმის დაამაარსებელზე. ვფიქრობ, ამ ტიპის ღონისძიებები კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას მის, როგორც ბუმბერაზი ადამიანის, მნიშვნელობას, ასეთი ადამიანები იშვიათად იბადებიან და ვფიქრობ, ბატონმა ამირანმა თავისი დიდი წვლილი შეიტანა როგორც სამუზეუმო საქმიანობაში, ასევე, არქეოლოგიის მიმართულებით, - აღნიშნა თეონა ზოიძემ.

ღონისძიებაზე შეკრებილებმა გაიხსენეს ამირან კახიძესთან დაკავშირებული პირადი ისტორიები, ხაზი გაუსვეს მის, როგორც პროფესორის, ღვაწლს აჭარის, საქართველოს და ზოგადად, მსოფლიო სამუზეუმო საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ სწორედ მას უკავშირდება საქართველოში არქეოლოგიის სკოლის შექმნა.

- უმნიშვნელოვანესია იმ ადამიანების გახსენება და პოპულარიზაცია, რომლებმაც საკუთარი წვლილი შეიტანეს ქართული კულტურის განვითარებასა და მსოფლიო არენაზე გატანაში. მადლობას ვუხდი ღონისძიების ორგანიზატორებს, თითოეულ სტუმარს მობრძანებისთვის, - თქვა ამირან კახიძის შვილმა ემზარ კახიძემ.

შეხვედრაზე გაყღერდა, რომ ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის რეაბილიტაციის შემდეგ, შენობის სკვერში ამირან კახიძის ბრინჯაოს ბიუსტი დაიდგმება, რომელზეც ბათუმელმა მოქანდაკე დავით ბოლქვაძემ იმუშავა.

ღონისძიებას ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, კოლეგები, მეგობრები, ოჯახის წევრები და სხვები ესწრებოდნენ. მათ კიდევ ერთხელ გადაავლეს თვალი ამირან კახიძის ფოტო და ვიდეომასალებს, რომლებიც სხვადასხვა დროსა და სივრცეში მის კვლევით საქმიანობას ასახავს.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი, პროფესორი, მსოფლიო დონის არქეოლოგი, მრავალი თაობის აღმზრდელი, არაერთი ექსპედიციის მონაწილე, ღირსების ორდენოსანი ამირან კახიძე 2023 წელს გარდაიცვალა.

**გვერდი მოამზადა ნანა აბულაძემ**

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომძიებელი რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «აჭარის აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბალდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ფეოდოვის ქ. №2
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/06/25, 17 00 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# ანიმაციაში გაცოცხლებული კუპატა

***ალბათ ყველას ახსოვს ბათუმელი ძაღლი კუპატა, რომელიც პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც ინტერნეტში გავრცელდა ვიდეო, თუ როგორ ეხმარებოდა ის ბავშვებს ქუჩის გადაკვეთაში. სანამ ბავშვები „ზებრაზე“ გადადიოდნენ, კუპატა წინ მიდიოდა და მანქანებს უყეფდა, გზას უღობავდა, რათა პატარები უსაფრთხოდ გადასულიყვნენ***

*კუპატა ქუჩაში გაზრდილი ძაღლი იყო, რომელზეც მთელი უბანი ზრუნავდა. 2023 წელს კუპატა ავად გახდა და, ხალხის მცდელობის მიუხედავად, მისი გადარჩენა, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა.*

*წელს, ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, „საქართველოს ბანკმა“ გადაწყვიტა, კუპატას შესახებ ანიმაციური რგოლი შეექმნა და ასე მიელოცა პატარებისთვის ეს დღე. ანიმაციის მთავარი სლოგანია „სიყვარულმა გაჩერება არ იცის“, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ რაღაც გულწრფელად გიყვარს, მისკენ მიმავალ გზაზე ვერაფერი შეგაჩერებს.*

*რატომ გახდა „საქართველოს ბანკისთვის“ შთაგონების წყარო კუპატა, ამაზე თავად ბანკის ბრენდის მიმართულების ხელმძღვანელი* **მარიამ ცანავა** *გვესაუბრა.*

- იდეა მას შემდეგ გაჩნდა, რაც გადავწყვიტეთ, რომ გაგვეკეთებინა ისეთი ანიმაციური რგოლი, როგორიც საქართველოში არ გაკეთებულა. ასევე, ვფიქრობდით ბავშვების საყვარელ პერსონაჟებზე, რომლებიც შეიძლება მათთვის საინტერესო ყოფილიყვნენ. ძალიან ბევრი ვერსია განვიხილეთ და საბოლოოდ, ჩვენს კრეატიულ სააგენტოსთან ერთად, შევჩერდით „კუპატას“ ვერსიაზე, რადგან ის ყველას უყვარს არა მხოლოდ ბათუმში, არამედ მთელ საქართველოში. კუპატა ბავშვებზე ზრუნვის საოცარი მაგალითია. იგი არასდროს ჩერდებოდა და, დაბრკოლებების მიუხედავად, ზრუნავდა ბავშვებზე. ჩვენი ანიმაციით გვინდოდა ადამიანებისთვის გვეჩვენებინა, რომ საყვარელი საქმის გამო ბევრი დაბრკოლების გადალახვა შეიძლება, - გვითხრა მარიამმა.

რაც შეეხება მუშაობის პროცესს და ანიმაციის შექმნის სირთულეებს, ამის შესახებ სტუდია GARNAMATAC-ის პროდიუსერი **ოთო შამუგია** გვიყვება.

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით „საქართველოს ბანკმა“ გადაწყვიტა, ბავშვებისთვის საყვარელ და კეთილ გმირზე პატარა ანიმაცია გაეკეთებინა და ამ გზით გაეცოცხლებინა სასიამოვნო მოგონებები კუპატაზე, რისთვისაც ჩვენ დაგვიკავშირდნენ. უამრავი მონდომებული ადამიანის ძალისხმევის შედეგია ეს ანიმაცია, ჩვენს სტუდიას კი იდეის სამ განზომილებაში აღსრულების პატივი ხვდა წილად. აუცილებლად უნდა აღვნიშნო გუნდი, რომელმაც ანიმაციაზე იმუშავა. მისი ვიზუალური განვითარება და გრუმინგი ნიკა მაისურაძისაა, ხოლო სამხატვრო ხელმძღვანელი სანდრო ტატინაშვილია. პერსონაჟებისა და დეტალების ვიზუალური განვითარება და გრაფიკა, რაც ანიმაციაში ძალიან მნიშვნელოვანია, თამუნა ჩაგუნავასა და რენა ჩაჩანიძეს ეკუთვნით. პერსონაჟების მოდელირების და ანიმაციის ავტორი ირაკლი კილაძეა, ხოლო სამგანზომილებიანი ანიმაცია შექმნეს მარიტა გიორგაძემ, თამო ნებიერიძემ და მიშო აბრამიდიმ. ვფიქრობ, ყველამ ერთად დიდი წვლილი შევიტანეთ, რომ ეს ანიმაცია გამოსულიყო ისეთი, როგორიცაა.

**- რატომ მაინცდამაინც - კუპატა?**

- ის საქართველოში ვირუსულად გავრცელებული ვიდეოს მთავარი მოქმედი გმირია, რომლის გახსენებაც დღესაც ყველას სითბოთი და სიყვარულით გვავსებს. ის, როგორც ბავშვების მეგობარი და კეთილი ძაღლი, დიდხანს დარჩება ჩვენს მეხსიერებაში, მაგრამ ამ რგოლით მისი სახელი კიდევ უფრო უკვდავყავით.

**- როგორ მიიღო საზოგადოებამ აღნიშნული ანიმაცია?**

- რასაც დავაკვირდით, სოციალურ მედიაში საოცრად პოზიტიური და ემოციური კომენტარებია. ველოდით, რომ დადებითი გამოხმაურება იქნებოდა, მაგრამ არა - ასეთი მასშტაბის. არ აწყენს ქვეყანას დადებითი ემოციები და გვიხარია, რომ ამაში ჩვენი მცირე წვლილიც შევიტანეთ.

**- ხომ არ დაგიკავშირდნენ კუპატას თაყვანისმცემლები ან თავად ბათუმელები?**

- ძალიან ბევრი ადამიანი გვწერს, მათ შორის ბათუმიდან და ნამუშევრისთვის მადლობას გვიხდის. მიუხედავად იმისა, რომ თავად ჯერ არ გაგვიზიარებია ჩვენს ოფიციალურ გვერდებზე, ძალიან მარტივად მოგვაგნეს და კომპლიმენტებით შეგვამკეს.

**- რამდენად ღირებულია ეს პროექტი თქვენი გუნდისთვის?**

- ძალიან! მაყურებელი ვერ ამჩნევს გარკვეულ ნიუანსებს, რასაც ანიმაციის შექმნის დროს ვაკეთებთ, მაგრამ ჩვენ ზუსტად ვიცით, სად რისი პოტენციალი ვერ გამოვიყენეთ. ჩვენი სტუდია და გუნდი ყოველთვის „უკეთ შეგვეძლოთი“ ვითარდებოდა და ძალიან გვიხარია, რომ კუპატას ანიმაციამ ჩვენს პროგრესში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა.

**- ბევრი მაყურებელი ითხოვს კუპატაზე მულტფილმის შექმნას...**

- რა თქმა უნდა, ჩვენც გვიფიქრია ამაზე. თავად „საქართველოს ბანკი“ თუ მოისურვებს, ალბათ არის შანსი, თუმცა მულტფილმის წარმოება სულ სხვა რესურსებთანაა დაკავშირებული. თუ იქნება სერიოზული დაინტერესება, ბუნებრივია, განვიხილავთ. აღსანიშნავია ისიც, რომ, ანიმაციის გარდა, „საქართველოს ბანკის“ იდეით, ბათუმში „ზებრა“ გადასასვლელი, სადაც კუპატას ბავშვები გადაჰყავდა, მოიხატა მისადმი მიძღვნილი ნაკვალევით. „საქართველოს ბანკმა“ კუპატაზე შექმნა, ასევე, ციფრული კომიქსები, ეგრეთ წოდებული ფეისბუქგიფები და პოსტერები.

**თამარ ლამპარაძე**

# „ჩემი ქუჩაში ველურად შობილი პირმშო - ხელოვნება იცვამს ფრაკს, იკეთებს ჰალსტუხს და შედის მწერალთა სახლში...“

***არის შეხვედრები, რომლებსაც მხოლოდ ღონისძიებას ვერ დაარქმევ, რადგან განსაკუთრებულად ხვდება გულს, აღვიძებს განცდებს, რაც დიდხანს მიგყვება. სწორედ ასეთი საღამო გაიმართა აჭარის მწერალთა სახლში, სალონური შეხვედრების - „სტუმრად ვახტანგ ღლონტთან“ ფარგლებში, რომლის მთავარი გმირი ამჯერად მხატვარი იოსებ ჯორბენაძე გახლდათ***

საღამოზე, რომელსაც მხატვრის ოჯახის წევრებიც ესწრებოდნენ, თბილი და მეგობრული გარემო სუფევდა, ამ ახალგაზრდა ხელოვანის ნამუშევრებს ბათუმის ქუჩებში დიდი თუ პატარა შენობების კედლებზე შეხვდებით. ისინი სიყვარულის ემოციას გიტოვებენ. იოსებმა გულწრფელად ისაუბრა საკუთარი შემოქმედებითი გზის შესახებ - იმ პირველ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელოვნების სიყვარულმა გადაადგმევინა, სირთულეებზე, რაც გადალახა და სიხარულზე, რასაც თითოეული ნახატი ანიჭებს. ეს იყო საღამო, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ ხელოვანის ქმნილება სწორედ მაშინ იძენს ნამდვილ ღირებულებას, როცა მასთან უშუალო შეხვედრისას ავტორის სულს ვგრძნობთ.

- იოსები ასაკით პატარა ბიჭია, მაგრამ უკვე გახდა ამ ქალაქის ნაწილი. ის იოლად არ მოსულა, სიჯიუტით, ბრძოლით მოვიდა, იმიტომ, რომ ხელოვნება, რომელსაც იგი ემსახურება, ცოტა უცხოა, ახალია და, ასე ვთქვათ, წვალებით იმკვიდრებს თავს, როგორც ყველაფერი განსხვავებული. ყოველთვის ვამბობ, რომ უფალი ნიჭს კი არა, ნიჭებს იძლევა და მთავარი ადამიანობის ნიჭია, რომელიც მოჭარბებულად აქვს ამ ბიჭს, რაც ფასს მატებს მის ხელოვნებას და სხვაგვარად ამდიდრებს. სულ მაინტერესებს, ნახატის, ლექსის იქით ვინ დგას, როგორი პიროვნებაა და ესაა ჩემთვის ყველაზე მთავარი. მინახავს ისეთი დიდი სახეები, რომლებისთვისაც თავი დამიკრავს და გამივლია, არ გამიგრძელებია ურთიერთობა მიუხედავად იმისა, რომ მათ ჰქონდათ ამის სურვილი. უბრალოდ, უსაფრთხოების, კულტურის წესი დამიცვია და წავსულვარ. მოგეხსენებათ, სალონურ საღამოებს თავის სფეროში დამწყებებსაც და ხანდაზმულებსაც ვუწყობ. ამ ბიჭს კი, ჩავთვალე, ჩემგან რაღაც ეკუთვნოდა და სწორედ ამიტომ მოვიწვიე. იოსებმა უკვე აჩუქა თავისი სახელ-გვარი ამ ქალაქს და მინდოდა, ამ საღამოთი ხელი შემეწყო მისი დამკვიდრებისთვის. ვთვლი, რომ ეს საღამო მხოლოდ იოსების კი არა, ჩემიც და თქვენიც იყო. ასეთი საღამოები სიყვარულის, მადლიერების გაკვეთილებია და ვიცი, რომ ჩვენი ქალაქისთვის ხვალინდელი დღე უფრო თამამი და სარგებლიანი იქნება, - გვითხრა ვახტანგ ღლონტმა.

- ბოლო პერიოდში განებივრებული ვართ იმით, რომ ვახტანგ ღლონტის ეს პროექტი ხშირად ჩვენთან ტარდება და ის საინტერესო ადამიანები, ვინც ამ ღონისძიების ფარგლებში ჩვენთან მოდიან და საუბრობენ, ძალიან მნიშვნელოვანია ამ ფუნქციის მქონე შენობისთვის. რაც შეეხება დღევანდელ სტუმარს - იოსებს, სულ ვამბობ, ბათუმი რომ ცოცხალი მუზეუმია, მისი დამსახურებაცაა. ყველას არ შეუძლია გალერეებში შესვლა, შეიძლება ზოგიერთს არც აინტერესებდეს, მაგრამ ის, რომ ქალაქი ასე ლამაზადაა მოხატული, ძალიან მოსაწონია. დანიშნულებაც ეს არის. ვფიქრობ, ეს ბიჭი არის ის ადამიანი, ვინც ზუსტად ხვდება, სად რა დახატოს და მე მომწონს მისი შემოქმედება. ანონსად გეტყვით, რომ ჩვენ მალე მის გამოფენას მოვაწყობთ, ვუმასპინძლებთ კიდევ ერთ შეხვედრას ჩვენს ახალ სივრცეში, რომელსაც სულ მალე გავხსნით, - გვითხრა აჭარის მწერალთა სახლის დირექტორმა ლალი კონცელიძემ.

- როდესაც შემოქმედება აკადემიურ სივრცეში შედის და ადამიანებით ერთიანდება, ის ძალიან ცვალებად ფორმას იღებს, რაც ლავირებადია და პროცესში ყალიბდება. ჩემი აზრით, ღმერთი ადამიანებად დაიმარცვლა. ეს დამარცვლილი ხალხი ვიკრიბებით და ვქმნით რაღაც სახის წინადადებებს, რომელსაც შემდგომ ვიმახსოვრებთ, გაზეთებში ვუშვებთ, ტელევიზიაში გადის ან, უბრალოდ, ჩვენი გულის გულში ვინახავთ. დღევანდელი სალონური საღამო იყო ათმაგად უფრო მნიშვნელოვანი, რადგან ბატონ ვახტანგ ღლონტის გვერდით ვიყავი და ეს ადამიანი ჩემი მისამართით იმ სიტყვებს ხარჯავდა, რაც ჩემში ძალიან დიდ ემოციას, სიმხურვალეს, სისხლის დუღილს იწვევდა. ის არის ადამიანი, რომელმაც წვიმად აქცია ბათუმი, თავის ლექსად და სიტყვად დაღვარა მთელი თავისი არსი, შემოქმედება, რეგიონის და ქართული გენის მნიშვნელობა. ჩემი აზრით, როცა ის თუნდაც ერთ სიტყვას მომართავს შენკენ, ეს უკვე დიდი მიღწევაა. სალონური საღამო შედგა ზუსტად იმ მომენტიდან, როცა მე ვახტანგ ღლონტის გვერდით ვიჯექი. არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ხალხი, რომელიც გარემოს ამშვენებდა თავისი ემოციურობით, სილამაზით და განწყობით. ამ დროს მათგან იღებ ენერგიას და მუხტს, რაც შემდეგ გაძლევს ძალას, რომ რაღაც ახალი აკეთო. ახლის კეთება ყოველთვის წარსულში ქექვას ჰგავს საბოლოო ჯამში და თუ წარსულში იქექები, ესე იგი აწმყოშიც ძალიან ორიენტირებული და კონცენტრირებული ხარ. მოხარული ვარ, რომ დღევანდელი საღამო, რომელიც სტანდარტულზე უფრო დიდხანს გაგრძელდა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ყველა ადამიანისთვის, ვინც ისმენდა შემოქმედებაზე, განვლილ გზაზე, სამომავლო გეგმებზე საუბარს და ეს აუცილებლად გამოიხატება მატერიალური ფორმით, შემოქმედების აკადემიურ სივრცეებში, ჩემი ქუჩაში ველურად შობილი პირმშო ხელოვნება, რომელიც არცერთ ჩარჩოს არ ექვემდებარებოდა, დღეს იცვამს ფრაკს, იკეთებს ჰალსტუხს და შედის მწერალთა სახლში, უწყებებში, საპროექტო სივრცეებში და იქ ტოვებს თავის კვალს, - გვითხრა იოსებ ჯორბენაძემ.

**მარიამ ხითარიშვილი**